საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 9 ივნისი, 2015 წელი.

№104 (7749)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

თორდიას დასკვნა – პარლამენტს, კრიტიკა – სამთავრობო უწყებებს

4

ნოდარ ხარშილაძე:

დღევანდელი და წინა ხელისუფლების მხარდამჭერები მეტად აგრესიულად არიან განწყობილი, ასე გაგრძელება ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს

5

დღეს თუ არა ხვალ, ყველას სიკვდილი ელის!

3

„როგორ ფიქრობთ, სირიიდან დაბრუნებულები ინტელექტის ასამაღლებლად საჯარო ბიბლიოთეკაში დასხდებიან?“

პარლამენტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი 6 მილიონი ლარით შემცირდება

პარლამენტი მიმდინარე წლის ბიუჯეტს 6 მილიონი ლარით იმცირებს. შესაბამისი გადაწყვეტილება პარლამენტის ხაზინადართა საბჭომ მიიღო.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე განმარტა, შრომის ანაზღაურების ფონდიდან შესაძლებელია 1.5 მილიონი ლარის დაზოგვა. მისივე თქმით, პარლამენტის ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი იყო გარკვეული ხარჯები „იბიარდის“ ყოველწლიური ღონისძიებისათვის, რაც საბოლოოდ ფინანსთა სამინისტრომ გაიღო. გარდა ამისა, ფინანსები გათვალისწინებული იყო პარლამენტის შენობის ფასადის რემონტისათვის, რაც არ განხორციელდება.

შესაბამისად, დავით უსუფაშვილის განმარტებით, გამოთავისუფლდება დაახლოებით 6 მილიონი ლარი და ამის თაობაზე მთავრობას ეცნობება.

ურეკი დღეს, ხვალ და მომავალში

9

„როგორ ხვდება საზღვაო კურორტი დამსვენებლებს?

არავინ იცის, ჩინეთი რა მოთხოვნებს წაუყენებს საქართველოს

6

ერთი კაცის მიერ დაყირავებული ეროვნული ვალუტა!!!

3

„ქართველებმა დროის ფასი არ იცით“

6

თბილისის ყველაზე ძვირად ღირებული საბავშვო ბაღები

11

საქართველოში მოსახლეობის 7,4% მშიერია

2

საქართველოს პრეზიდენტმა ჩინეთის დელეგაციას უმასპინძლა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ერთიანი ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჩენ ჩანგჩის ხელმძღვანელობით დელეგაციას უმასპინძლა.

შეხვედრისას მხარეებმა ქართულ-ჩინური ურთიერთობების შესახებ ისაუბრეს და ხაზგასმით აღნიშნეს ის მრავალმხრივი შესაძლებლობები, რომლებიც საქართველოსა და ჩინეთს შორის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზე არსებობს.

ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით ხაზი გაესვა გლობალური სტრატეგიული პროექტის „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობას და სამომავლოდ მისი როლის გაძლიერებასა და გაღრმავებას. ხოლო კულტურული თანამშრომლობის მიმართულებით, აღინიშნა ის მრავალრიცხოვანი პროექტები, რომლებსაც ჩინეთის საელჩო ახორციელებს საქართველოში.

საქართველოს პრეზიდენტმა სტუმრებს მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისათვის.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა კრახი განიცადა

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, მისთვის აღმაშფოთებელია, რომ მკვლელობაში ბრალდებული პირის მიმართ განაჩენი ვერ გამოიტანეს.

„ჩვენ ვიხილეთ, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა განიცადა სრული კრახი, ჩვენ ვართ ვალდებული, ამას გადავხედოთ და, რაც ხარვეზებია, გამოვასწოროთ. რა თქმა უნდა, დაზარალებულის ოჯახს აქვს აბსოლუტურად სრული სამართლიანი მოთხოვნა, რომ დამნაშავე დაისაჯოს, ეს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. როგორ, რა მეთოდებით, ამას შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, რომ ეს ინსტიტუტი ჩავარდა და სრული კოლაფსი განიცადა. ასე რომ, ამას აუცილებლად უნდა გადავხედოთ და რაც მთავარია ძალიან მალე“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილების მიღება ვერ მოახერხეს. თბილისის საქალაქო სასამართლოში თითქმის 12-საათიანი მსჯელობის შემდეგ, ნაფიცმა მსაჯულებმა ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე ვერდიქტი ვერ გამოიტანეს.

მოსამართლემ ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის ასარჩევად სხდომა 10 ივნისს 12:00 საათზე ჩანიშნა და აღნიშნულ საქმეზე განხილვა ხელახლა დაიწყება. იმ შემთხვევაში, თუ ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობა კვლავ ვერ მოახერხებს ვერდიქტის მიღებას, მაშინ გიორგი ოქროპირიძე გამართლებულად ჩაითვლება. თუმცა, გიორგი ოქროპირიძემ შეაძლოა, საპატიმრო დაწესებულება მანამდე დატოვოს, რადგან პატიმრობის 9-თვიანი ვადა 12 ივნისს ეწურება.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გედევან ფოფხაძის შეფასებით, ნაფიც მსაჯულთა მართლმსაჯულება ძალიან შორს არის ობიექტურობისგან.

როგორც ფოფხაძე აცხადებს, მათი გადაწყვეტილება დაფუძნებულია ემოციებსა და გრძნობებზე. ფოფხაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ყოველთვის უჭერდა მხარს ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის სივრცის შემცირებას.

მისი შეფასებით, ნაფიც მსაჯულთა სისტემა გადასახედია.

საწვავი კიდევ გაძვირდა



როგორც კომპანია „ლუკოილის“ დირექტორის მოადგილემ შავლეგ მიშველაძემ განაცხადა, „ლუკოილის“ ქსელში საწვავის ფასები ორშაბათ დილიდან 2-დან 5 თეთრამდე გაიზარდა.

მისივე თქმით, ფასებთან დაკავშირებით სამომავლო ტენდენცია ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესებთანაა დაკავშირებული.

ამჟამად „ლუკოილში“ საწვავზე ფასები ასეთია — Euro Super 2.19 ლარი ღირს, Premium Avantgarde — 2.09 ლარი, Euro Regular — 1.93 ლარი და Euro Diesel — 2.07 ლარი.

ბოლო ერთ კვირის განმავლობაში საწვავზე ფასები კომპანია „გალფმაც“ გაზარდა. როგორც კომპანიის წარმომადგენელმა ნინო ჯიბლაძემ განუცხადა, სხვადასხვა პროდუქტზე ფასები 3-დან 5 თეთრამდე არის მომატებული. მისივე თქმით, აღნიშნული საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების მატებითაა განპირობებული.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი ბიძინა ივანიშვილის საპასუხო განცხადებას ავრცელებს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში აზიმ სადიკოვი ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს, რომლითაც საქართველოს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს ეხმაურება.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საერთაშორისო სავალუტო ფონდს არ გამოუთქვამს და ვერც მომავალში გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ცალკეული ქვეყნის სამართალწარმოებაზე ან ერთეული პირის კანონთან მიმართებაზე, რადგან ეს არ არის მისიის მანდატი.

„საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგისას, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა არაერთხელ აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელობა. საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის შელახვა შეასუსტებს ამ ინსტიტუტს, ძირს გამოუთხრის მის სავალუტო და ფინანსური პოლიტიკის სანდოობას და საფრთხეს შეუქმნის ინვესტორთა ნდობას“, — ნათქვამია განცხადებაში.

სადიკოვის განცხადების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ დაადასტურა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობისადმი ერთგულება. ყოველივე ამან განაპირობა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხარს უჭერს საქართველოს ეკონომიკური დახმარების პროგრამებს.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ ბოლო პერიოდში გაკეთებული შეთავაზება ეროვნული ბანკის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რისკის ქვეშ დააყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას. ჩვენი რეკომენდაციაა, ახლავე გაიმართოს სწორი კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან და საერთაშორისო ექსპერტებთან. თუ ამ კონსულტაციებით გადაწყდება, რომ ცვლილებები შევიდეს ეროვნული ბანკის კანონმდებლობაში, ნებისმიერმა ცვლილებამ უნდა დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა და უზრუნველყოს, რომ მისი მმართველობა და ოპერაციები შეესაბამებოდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზადყოფნას გამოთქვამს, გაუწიოს დახმარება ამ სფეროში“, — ნათქვამია სადიკოვის განცხადებაში.

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა სთხოვა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე არ დაეკავებინათ და ეს თხოვნა გაითვალისწინა.

„ქართუ ბანკის“ საკითხი პირადი იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმაც იცოდნენ, რომ მან კანონი დაარღვია, ის კი არ უთქვამთ, დასაჭერი არ არისო. ჩვენ ვიცით, რომ ის დასაჭერია, მაგრამ იქნება აპატიოთო. მეც ვუთხარი, რომ რაც პირადულია, შემიძლია გავაკეთო და პროკურატურაში განცხადების მსვლელობა შევაჩერე, რაზეც ჯავახიშვილი ძალიან განაწყენდა, მაგრამ ვინც მთხოვა, იმასაც და თვითონ გიორგი ქადაგიძესაც განვუმარტე, რომ სახელმწიფოს წინაშე თუ აქვს დარღვევა ჩადენილი, მე ხელს ვერ დავაფარებდი“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

საქართველოს პროგრესი განსაკუთრებულად აღინიშნა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია სამუშაო ვიზიტით იტალიაში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 39-ე სესიაზე იმყოფებოდა.

სესიის ფარგლებში, ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ამოცანების შესრულებისადმი მიძღვნილ რაუნდში — შიმშილთან ბრძოლაში მიღწეული შედეგებისათვის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, სადაც საქართველო სოფლის მეურნეობის კუთხით ბოლო პერიოდში გატარებული სწორი დარგობრივი პოლიტიკისთვის დაჯილდოვდა.

უწყების ინფორმაციით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სესიაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს ოთარ დანელიას გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ახლად არჩეულმა გენერალურმა დირექტორმა გრაციანო დე სილვამ სერტიფიკატი პირადად გადასცა.

„მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ის პოზიტიური შეფასებები, რომლებიც სესიაზე საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ კონკრეტულ პროექტებზე გაკეთდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული დელეგაციის ორმხრივი შეხვედრები, რომლებზეც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის საკითხები განიხილება“, — განაცხადა საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიის რესპუბლიკაში კახა სიხარულიძემ.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 39-ე სესია 12 ივნისს ოფიციალურად დაიხურება.

◎ გაეროს მონაცემებით

საქართველოში მოსახლეობის 7,4% მშიერია

საქართველოში მშიერი ადამიანების მაჩვენებელი 2010-2012 წლების პერიოდთან შედარებით, 2014-2016 წლების მონაცემებით, 10,1%-დან 7,4%-მდე შემცირდა.

გაეროს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოში არსებული მშიერი ქვეყნების ანგარიშის თანახმად, 1990-92 წლების პერიოდში საქართველოში მშიერი ადამიანების მაჩვენებელი 56,5% იყო. თუმცა, დღევანდელი შიმშილის მაჩვენებლი, რომელიც 7.4%-ს შეადგენს, 2005-2007 წლების მაჩვენებლზე 1.4%-ით მეტია.

ანგარიშის მიხედვით, საერთო ჯამში, მსოფლიოს 125 ქვეყანაში მშიერი ადამიანების რიცხვი შემცირდა.

ანგარიშის თანახმად, 1990-92 წლების პერიოდთან შედარებით, მსოფლიოში მშიერი მოსახლეობის მაჩვენებელი 18,6-დან 10,9 პროცენტამდე შემცირდა. ვითარება ასევე გაუმჯობესებულია განვითარებად ქვეყნებშიც, სადაც შიმშილის მაჩვენებელი 23,3%-დან (1990-92 წლები) 12,9%-მდე არის შემცირებული.

ანგარიშის ავტორთა თქმით, მშიერი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება მეტწილად ჩინეთისა და სხვა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია.

„სულ რაღაც მეოთხედი საუკუნის წინათ, მსოფლიოში 1 მილიარდ ადამიანზე მეტი იტანჯებოდა შიმშილით, თუმცა დღეს მსოფლიოში მათი რიცხვი 795 მილიონს შეადგენს“, — ნათქვამია გაეროს ანგარიშში.

მსოფლიოში ყველაზე მშიერ რეგიონად კვლავ სამხრეთი აზია რჩება, სადაც 281 მილიონი ადამიანი შიმშილობს. აფრიკაში კი ბოლო 25 წლის განმავლობაში მშიერი ქვეყნების რაოდენობა გაორმაგდა და 24-ს მიაღწია. ანგარიშის ავტორთა თქმით, ამის მიზეზი აფრიკაში გამუდმებული ომები, გვალვა და სტიქიური უბედურებებია.

ვითარება გაუმჯობესდა ლათინურ ამერიკაში, სადაც ეკონომიკური ზრდისა და სხვადასხვა სოციალური პროგრამების რიცხვი 14,7%-დან 5,5%-მდე შემცირდა. გამონაკლისია გვატემალა, სადაც ადგილობრივებს ამ დრომდე არ მიეწოდებათ საჭირო რაოდენობის საკვები.

გაეროს წარმომადგენელთა განცხადებით, მშიერი მოსახლეობის უმრავლესობა განვითარებადი ქვეყნების ღარიბ სოფლებში ცხოვრობს.

ამასთან ერთად, ქვეყნების მიხედვით, ყველაზე მეტი მშიერი ადამიანი — 194,6 მილიონი — ინდოეთში ცხოვრობს.

◎ XX საუკუნის ისლამური გამოწვევა

დღეს თუ არა ხვალ, ყველას სიკვდილი ელის!

„როგორ ფიქრობთ, სირიიდან დაბრუნებულები ინტელექტის ასამაღლებლად საჯარო ბიბლიოთეკაში დასხდებიან?“

აღმოსავლეთმცოდნე დავით კობერიძე აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სირიაში საომარ მოქმედებაში მონაწილეობენ როგორც დაქირავებული მებრძოლები, ძალიან დიდი პრობლემაა საქართველოსთვის, ვინაიდან ისინი სპეციალური დავალებით ჩამოვლენ.

რომელ დაჯგუფებაში იბრძვიან ქართველები და რა საფრთხე ემუქრება ქვეყანას სირიაში მებრძოლი ქართველებისგან, ამ საკითხზე დავით კობერიძე გვესაუბრება.

— ბატონო დავით, თუ არსებობს ზუსტი მონაცემი, საქართველოს რამდენი მოქალაქე იმყოფება სირიაში?

— საქართველოს მოქალაქეები, არა მარტო პანკისის ხეობიდან მიდიან საბრძოლველად სირიაში და ერაყში, არამედ აჭარის რეგიონიდან, გურიიდან და ქვემო ქართლიდან. ზუსტ რაოდენობას ვერავინ ვერ იტყვის, რადგან გადასვლას ფარულად ახერხებენ.

— რაც შეეხება მოტივაციას, ექსპერტები საუბრობენ ბევრ ფაქტორზე, მათ შორის, როგორც ფინანსურზე, ასევე რელიგიურზე, რეალურად არ არის მთავარი მოტივი, რატომაც საქართველოს მუსლიმი მოქალაქეები სირიაში მიდიან?

— ერთადერთი მიზეზი ეს არის ჯიჰადში მონაწილეობა. როდესაც რომელიმე ქვეყანაში ცხადდება ჯიჰადი „ურწმუნოებისა“ და მუსლიმთა ჩაგვრის წინააღმდეგ, მსოფლიოს მასშტაბით ვალდებული არიან, გაგზავნონ თავისი წარმომადგენელი ჯიჰადში მონაწილეობის მისაღებად. სირიაში მარტო საქართველოს მოქალაქეები არ არიან, იქ არიან — აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის, გერმანიის, ჩინეთის მოქალქეებიც. შეიძლება ითქვას, რომ ჩინელი ჯიჰადისტების პრობლემა, ეს არის ჩინეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდი შიდა პრობლემა.

— საინტერესოა, როგორ და ვისი საშუალებით ხდება ამ ადამიანების გაყვანა ქვეყნიდან? მხოლოდ ერთი თარხან ბათირაშვილი არის მთელი ამ პროცესის ორგანიზატორი?

— იცით, რომ ისლამური სახელმწიფო გამოცხადდა 2014 წლის ივნისში, მანამდე ამ ფორმირებას სულ სხვა სახელი ჰქონდა, ბოლოს მისი სახელი იყო - „ისლამური სახელმწიფო ერაყსა და შამში“. ერაყი გასაგებია სადაც არის, მაგრამ რაც შეეხება შამსს, ეს ნიშნავს არა მხოლოდ სირიას, არამედ ლიბანს, იორდანიას, პალესტინას და სინაის ნახევარკუნძულს, რომელიც ეგვიპტეში მდებარეობს. აი, ეს იყო ისლამური სახელმწიფოს გეოგრაფიული ადგილი.

ისლამური სახელმწიფოს გამოცხდება, პრაქტიკულად, ნიშნავს სახალიფოს გამოცხადებას, რასაც დიდი ხანია, სპეციალისტები ელოდებოდნენ. დღეს ვერავინ იტყვის, სად მდებარეობს ისლამური სახელმწიფო. რადგან, ისევე როგორც საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა საზღვრები, ასევე ისლამური სახელმწიფოც არ ცნობს ქვეყანათა შორის საზღვრებს. მათი გაგებით, ეს არის სახელმწიფო მთელს მსოფლიოში. ისინი თვლიან, რომ ისლამური სახელმწიფოს შემადგენლობაში გაერთიანებული უნდა იყოს მთელი კავკასია და დასავლეთ ევროპის გარკვეული ნაწილი.

რაც შეეხება ბათირაშვილს, ის იმდენად მაღალი დონის სამხედრო ამირაა, რომ მას სტრუქტურულად არ ევალება ახალი მებრძოლების მოზიდვა სახალიფოს შემადგენლობაში, მას ამისთვის არც სცალია. ამისთვის სხვები არიან.

— თუ არის ცნობილი, რომელ დაჯგუფებაში წევრიანდებიან საქართველოს მოქალაქეები? ფაქტია, რომ რამდენიმე დაჯგუფებაა...

— საოცარი სიჭრელეა, იქ არის რამდენიმე ათეული სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ებრძვის ბაშარ ასადის რეჟიმს და ამავე დროს ებრძვიან ერთმანეთს. პრაქტიკულად, ყველა ყველას წინააღმდეგ. ბოლო დროს ძალიან სახიფათო ტენდენცია მიმდინარეობს სირიაში, ხდება ამ პატარ-პატარა ორგანიზაციების გამსხვილება. საქართველოს მოქალაქეები გაერთიანებული არიან „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში, ამ სახელმწიფოს დედაქალაქი მდებარეობს სირიაში, ქალაქ რაკკაში.

ისინი თვლიან, რომ ეს არის ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქი. არის დაჯგუფება, რომელსაც თავისი საბრძოლო ისტორია აქვს, მაგალითად „ჯაიშ ალ მუჰაჯირი ვალანსა“ და „ჯუნდაშამი“, რომლებსაც საქართველოს მუსლიმი მოქალაქეები ხელმძღვანელობენ. იგივე „ჯუნდაშამის“ ლიდერი გახლავთ მუსლიმ მარგოშვილი, რომელსაც დღეს როგორც მუსლიმ აშიშანი ისე იცნობენ, ანუ ჩეჩენი.

— ერთ-ერთი ვერსიით, საქართველოდან ქართველების გაყვანას ხელმძღვანელობს ახმეტ ჩატაევი, რომელიც თარხან ბათირაშვილთან დაახლოებული პირია...

— არავინ იცის, ვინ ხელმძღვანელობს ამ ადამიანების გაყვანას. არანაირად არ დასტურდება, რომ მხოლოდ ჩატაევი ხელმძღვანელობს საქართველოში ჯიჰადისტების რეკრუტირებას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ისლამური სახელმწიფო ძალიან დახურული ტიპის სამხედრო ორგანიზაციაა, მას აქვს თავისი ფინანსთა სამინისტრო, მათ შორის, გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახების რჩენის სამსახური.

— ამ ლოგიკით გამოდის, რომ ფინანსურ დახმარებას ღებულობენ ის ოჯახები, რომელთა შვილები სირიაში მოკლეს?

— ამას ოფიციალურად ვერავინ ვერ გაიგებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ აქედან წასული საქართველოს მოქალაქეები სირიაში საომარ მოქმედებაში მონაწილეობენ როგორც დაქირავებული მებრძოლები, ამის დამტკიცებაც შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ადამიანები ძალიან დიდი პრობლემაა საქართველოსთვის.

— საქართველოდან წასული მოქალაქეებისგან არსებობს ტერორისტული აქტის საშიშროება?

— და თქვენ ამას გამორიცხვათ? საქართველოში კი არა, ლონდონში, მადრიდში, საფრანგეთში, აშშ-ში მოხდა და ჩვენ ასეთი დაცულები ვართ? — მე არა მგონია. ტერორისტული აქტის საშიშროება არსებობს ყველგან, რადგან როგორც ცნობილია, ნაწილი ბრუნდება და ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, სად იყო და რას აკეთებდა.

— დაბრუნდა ვინმე?

— კი, რა თქმა უნდა. ბევრი არა, მაგრამ არის ინფორმაცია, რომ რამდენიმე ადამიანი დაბრუნდა სირიიდან და სხედან სახლებში. კი ბატონო, ისხდნენ, მაგრამ ხვალ, რომ გამოვა სახლიდან, მან რა უნდა გააკეთოს, ეს იცის ვინმემ? ეს არავინ არ იცის. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს ადამიანები ძალიან დიდი საფრთხე არიან ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

სახელმწოფომ ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს და ძალიან ბევრი ახალი სტრუქტურა უნდა შექმნას. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აშშ-ში ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგობის და პრევენციის წინააღმდეგ რამდენიმე ათეული სპეციალური ორგანიზაცია შეიქმნა. დამისახელეთ ერთი ასეთი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში არსებობს, გარდა ტრადიციულისა. ამას სჭირდება სპეციალური მუშაობა სახელმწიფოს მხრიდან და არა მარტო სახელმწიფოს მხრიდან.

ამას სჭირდება ის, რომ ყოველ გაზეთში და საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად არ ჟღერდეს იგივე ომარ აშიშანის სახელი, რადგან ძალიან ბევრისთვის ის უკვე კერპია პანკისის ხეობაში. არ არის საჭირო პერსონალიებზე ამდენი საუბარი, რომ თურმე მან სირიაში ბევრს მიაღწია და ა.შ. რას მიღწია? — იყო პატარა ბანდიტი და გახდა დიდი... აი, ამას მიაღწია მან. დღეს თუ არა ხვალ, ალბათ, მოკლავენ და სხვებსაც ეს ელით.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

◎ დაკითხეთ, დაკითხეთ!

ერთი კაცის მიერ დაყირავებული ეროვნული ვალუტა!!!

თამაზ მეჭიაურის გიორგი ქადაგიძის საქმიანობას უარყოფითად აფასებს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ეროვნული ბანკის საქმიანობას არადამაკმაყოფილებლად აფასებს და გიორგი ქადაგიძის უწყებას ვალდებულებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს.

თამაზ მეჭიაურის კომიტეტმა გიორგი ქადაგიძეს 25 მაისს მოუსმინა, თუმცა, მისი საქმიანობის შესახებ შვიდპუნქტიანი დასკვნა მიმდინარე კვირას მოამზადა, რომელსაც პლენარულ სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოსმენის შემდეგ წარადგენს.

როგორც კომიტეტების სხდომაზე, ასევე პლენარულ სხდომაზეც, უმრავლესობის წევრები გიორგი ქადაგიძეს, სავარაუდოდ, ისევ გააკრიტიკებენ, თუმცა, მანამდე კანონმდებლებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნის გაცნობა მოუწევთ, რომელიც გამოქვეყნებამდე მოვიპოვეთ.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ ქადაგიძის მიერ წარმოდგენილმა წლიურმა ანგარიშმა პასუხგაუცემელი დატოვა საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოსახლეობის ცხოვრების დონესა და შემოსავლებზე ისეთი მაღალი დოლარიზაციის ქვეყანაში, როგორც საქართველოა.

„ეროვნული ბანკი წლიურ ანგარიშში არაერთხელ აღნიშნავს, რომ 2014 წლის გაზაფხულიდან თავი გეოპოლიტიკურმა რისკებმა იჩინეს, ხოლო წლის მეორე ნახევრიდან საგარეო ფაქტორებისა და შოკების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაღრმავება და საქართველოს ეკონომიკაზე კიდევ მათი გავლენა უფრო დამძიმდა. ასეთ ვითრებაში, ბანკი კანონით მოვალეა პრეზიდენტსა და მთავრობას ეროვნული ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან მის კომპეტენციის სფეროში შემავალ ყველა საკითხზე საკონსულტაციო დახმარება გაუწიოს, თუმცა, განხილვისას საკმარისად ვერ დასაბუთდა ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულება“, — აღნიშნულია დასკვნაში.

დეპუტატები დასკვნაში ლარის გაუფასურების ტენდენციებზეც საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ 2014 წლის ბოლო კვარტალში, როდესაც ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი გაუფასურების ტენდენცია შეინიშნებოდა და ამავე პერიოდში პარლამენტში 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი იხილებოდა, ეროვნული ბანკის მხრიდან საკითხის განხილვებისას არსებული მდგომარეობის გაგრძელების შესაძლებლობის რისკი არ დაფიქსირებულა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ეროვნული ბანკის მუშაობას უარყოფითად გატარებული მონეტარული პოლიტიკის კუთხითაც აფასებს და აცხადებს, რომ ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის შესაბამისად, მის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს საზოგადოებასთან კომუნიკაცია და ინფლაციური მოლოდინების მართვა წარმოადგენს, თუმცა, ამ მიმართულებით სებ-ის საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად ითვლება.

„სებ-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი მის ხელთ არსებულ მონეტარულ ინსტრუმენტებს ლარის დევალვაციის მასშტაბების შემცირებისა და რყევების მინიმალიზაციის მიმართულებით არ იყენებდა, უმოქმედობასა და ჩაურევლობას კი იმ მოტივით ხსნის, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და ლარის მასის შეზღუდვა ერთი მხრივ, ხელს შეუშლიდა ინფლაციის დადგენილი თარგების შესრულებას, მეორე მხრივ კი, ეკონომიკის ზრდას, თუმცა, არც ანგარიშში და არც საკომიტეტო მოსმენის დროს, კონკრეტული გათვლები არ იქნა წარმოდგენილი — თუ რომელი ინსტრუმენტების და რა ზომით გამოყენება, როგორ გავლენას იქონიებდა ლარის სტაბილურობაზე, ინფლაციის გეგმიური მაჩვენებლის მიღწევასა და ეკონომიკის ზრდაზე“, — აღნიშნულია დასკვნაში.

კანონმდებლები დოკუმენტში აცხადებენ, რომ ეროვნული ბანკის მიერ არც წერილობით ანგარიშში და არც საკომიტეტო მოსმენაზე არ იქნა წარმოდგენილი გათვლები და მოდელირება იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ლარის დევალვაცია საბანკო სისტემის სტაბილურობასა და მდგრადობაზე.

„სებ-ის მხრიდან ანგარიშში არ არის გაანალიზერბული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და ლარის დევალვაციის გადაცემის ეფექტი და ადეკვატურობა მოსახლეობაზე და კერძოდ, მსესხებლებზე. შესაბამისად, რა გავლენას მოახდენს აღნიშნული მოხმარების დონესა და ეკონომიკურ ზრდაზე, უცნობია“, — ნათქვამია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ მომზადებულ დასკვნაში, რომლის გაცნობამდე უმრავლესობის წევრები ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებასა და პროკურატურაში გიორგი ქადაგიძის შესაძლო დაკითხვაზე აპელირებენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აღნიშნავს, რომ გიორგი ქადაგიძის ანგარიში დამაჯერებელი არ იყო, შესაბამისად, კომიტეტი ვერ დარწმუნდა იმაში, რომ ბანკმა ყველაფერი გაკეთა მაშინ, როცა ლარის გაუფასურება ხდებოდა.

ბესელია ქადაგიძის დაკითხვას არ გამორიცხავს.

ბესელიას პოზიციას იზიარებს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

როგორც სესიაშვილმა განაცხადა, პროკურატურამ უკეთ იცის, რა კითხვები არსებობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან.

„თუკი კითხვები არსებობს, მას პასუხი უნდა გაეცეს და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა მოხდა“, — დასძენს სესიაშვილი, პოლიტიკოსების განცხადებებს კი თავად გიორგი ქადაგიძე ყვითელ პრესას ადარებს და ამბობს, რომ მას მისი დაკითხვის თაობაზე ინფორმაცია უკვე სამი წელია, ესმის.

გიორგი ქადაგიძეს პოლიტიკოსების კითხვებზე პასუხის გაცემა უფლებამოსილების ამოწურვამდე, კიდევ ერთხელ მოუწევს. **კანონმდებლები ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, სავარაუდოდ, ივნისის ბოლომდე უმასპინძლებენ.**

თეონა მანაგაძე

თორდიას დასკვნა – პარლამენტს, კრიტიკა – სამთავრობო უწყებებს

ლაშა თორდიას უწყების მიერ მომზადებული 428-გვერდიანი დასკვნა უკვე პარლამენტშია. დეპუტატები სქელკანიან დოკუმენტზე მსჯელობას იწყებენ, რომლებიც 2011-2013 წლებს მოიცავს.

აუდიტის სამსახურის მიერ 2014 წელს სახელმწიფო სტრუქტურებში ჩატარებულია **114 აუდიტი,** რომლითაც მოცულია **5 132 მილიარდი ლარი** და გამოვლენილი დარღვევების თანხობრივმა მოცულობამ **210 მილიონი ლარი** შეადგინა, თუმცა, აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით სახელმწიფო ბიუჯეტში – **555 ათასი ლარი** დაბრუნდა.

თორდიას უწყება ანგარიშში ყურადღებას უწყებების მიერ საწვავის არამიზნობრივ ხარჯვაზე, პრემიების გაცემასა და მივლინებებზე ამახვილებს.

მაკონტროლებელი ორგანო დასკვნას ქვეყნის საგარეო ვალით იწყებს და აღნიშნულია, რომ 2014 წლის ნოემბრის მონაცემებით, სახელმწიფოს **მთლიანი ვალის პორტფელი 10,397.4 მილიონ ლარს** შეადგენს (მოსალოდნელი მშპ-ს 35.7%).

დასკვნის თანახმად, აუდიტის პერიოდში, ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია შემუშავებული არ ჰქონდა.

„საკრედიტო რესურსის მოზიდვის ეტაპზე, სხვადასხვა დაფინანსების წყაროების მიერ შემოთავაზებული საკრედიტო პირობების ანალიზის დოკუმენტირება არ ხორციელდება. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ვალის დამახასიათებელი რისკების შეფასებასა და ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა, რაც იმის რისკს წარმოშობს, რომ მოსალოდნელი საფრთხეების დროული იდენტიფიცირება და მათი პრევენცია ვერ მოხდება. თუმცა, დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს თან დაერთო მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“, – ნათქვამია დასკვნაში ნოდარ ხადურის უწყების მიმართ, სადაც ასევე საუბარია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ჩატარებული აუდიტის შედეგებზე.

სოზარ სუბარის უწყებაზე ნათქვამია, რომ 2011-2013 წლებში, ხარვეზები გამოვლინდა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში.

დოკუმენტის მიხედვით, ხუთ ოჯახს, რომლებიც ერთი სარეგისტრაციო ნომრის ქვეშ იმყოფებოდნენ, საკუთრებაში ერთზე მეტი საცხოვრებელი ფართი გადაეცა. ასევე ექვსი შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც ერთ ოჯახზე გაიცა როგორც ერთჯერადი კომპენსაცია, ასევე საცხოვრებელი ბინის დაკანონება განხორციელდა.

„13 ოჯახზე ზედმეტად გაცემულმა კომპენსაციის თანხამ – 130,000 აშშ დოლარი შეადგინა. საცხოვრებელი ფართები დაკანონებული ოთხ ისეთ ოჯახს ჰქონდა, რომლებსაც დევნილის სტატუსი შეუწყდათ“, – ნათქვამია დასკვნაში, სადაც საუბარია უწყების მხრიდან საწვავის არამიზნობრივ ხარჯვაზე.

კერძოდ, დასკვნის გათვალისწინებით, არ დასტურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან გახარჯული შესყიდული საწვავის მიზნობრიობა.

„ვერ დასტურდება 130.4 ათასი ლარის ღირებულების საწვავის ხარჯის მიზნობრიობა. ხარჯებში ჩამოწერილი 59.8 ათასი ლარის ბენზინის საწვავის მიღება სამინისტროს თანამშრომელთა ხელმოწერებით არ დასტურდება. ასევე, ზედმეტ ხარჯად არის აღიარებული 500 ლიტრი საწვავი. 2011-2012 წლებში, საწვავი აღიარებულია ხარჯად და ჩამოწერილია იმ ავტომანქანებზე, რომელიც არ იყო სამინისტროს საკუთრებაში/სხვა სახით სარგებლობაში. შესაბამისად, არ იყო აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაშიც. აღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ გახარჯულია 61.9 ათასი ლარის საწვავი“, – ნათქვამია დოკუმენტში.

თორდიას უწყების მიერ მომზადებული მასალებით, სუბარის უწყების მიერ საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვა ფიქსირდება.

„სამინისტროს მიერ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, 2013 წელს, გაფორმებული ორი ხელშეკრულების ფარგლებში, უხარისხო სამუშაოები შესრულდა. აღნიშნულ სარეკონსტრუქციო-სამონტაჟო მომსახურებაზე არაეფექტიანად გაწეულმა ხარჯმა 1,920.0 ათასი ლარი შეადგინა“, – აღნიშნულია დასკვნაში.

აუდიტის სამსახური საწვავის მოხმარებასთან დაკავშირებით ლტოლვილთა სამინისტროს მსგავსად, პრეტენზიებს სხვა უწყებების მიმართაც გამოთქვამს. თორდიას უწყების ცნობით, სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით შესყიდულია 9.2 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად აღნიშნული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების მდგომარეობა არ დასტურდება და აღნიშნული ხარჯი ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება.

აღნიშნული უწყების გარდა, საწვავის გამოყენებული რაოდენობის გამო ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრიც“ გაკრიტიკდა. დასკვნის მიხედვით, „მემცენარეობის დარგში თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობისა“ და „მეცხოველეობის დარგში ხელოვნური განაყოფიერების დანერგვის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამების ფარგლებში, შესყიდულია 25 000 ლარის საწვავი, თუმცა, აღნიშნული საწვავის პროგრამის მიზნებისათვის გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ თორდიას უწყებას „აგროსერვის ცენტრის“ მიმართ სხვა პრეტენზიაც აქვს. დოკუმენტის მიხედვით, აგროტექნოლოგიური ნორმების დაუცველობის შედეგად, არის სხვადასხვა ჯიშის ნერგების დიდი რაოდენობით გახმობის ფაქტები. წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, გამხმარია 41 832 ძირი – 38 600 ლარის ღირებულების ნერგი.

ზემოთ აღნიშნული უწყებების მსგავსად, აუდიტის სამსახურის კრიტიკას იმსახურებს ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოც. დასკვნის გათვალისწინებით, 2012-2013 წლებში, სააგენტოს არ შეუნახავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შესახებ GPS სისტემის მიერ დაფიქსირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია. შესაბამისად, შეუძლებელია საწვავის ხარჯვის მიზნობრიობის დადგენა.

თორდიას უწყება ამ სააგენტოსთან მიმართებაში სხვა საბიუჯეტო ხარვეზებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს, ვის გაეწია სასტუმრო და საბანკეტო მომსახურება ბათუმში შპს „ინტურისტ პალასში“. შესაბამისად, გაწეული ხარჯის მიზნობრიობის დადგენა შეუძლებელია.

ამას გარდა, აუდიტის სამსახური იმავე სააგენტოს მიერ ბერლინში ჩატარებულ გამოფენასაც ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ბერლინში გამოფენის მოწყობის მიზნით, წარმოდგენილია ორი ინვოისი საერთო თანხით – 175,000 ევრო, რომელთანაც არც ხელშეკრულებაა გაფორმებული და არც მიღება-ჩაბარების აქტი არ არის შედგენილი. „შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოთქვას მოსაზრება აღნიშნული 364,931 ლარის ოდენობის ხარჯის რეალობაზე“, – ნათქვამია დასკვნაში, სადაც საუბარია 2012-2013 წლებში, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გაწეულ ხარჯებზე.

დოკუმენტის მიხედვით, დეპარტამენტის მიერ ანაზღაურებულია თანამშრომლის მივლინების დროს გაწეული როუმინგის მომსახურების ხარჯები 4, 3 ათასი ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც მისი ყოველთვიური ლიმიტი 120 ლარს შეადგენდა.

თუკი თორდიას უწყება საავტომობილო გზების დეპარტამენტს თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ედავება, 2012 წელს, ფოთში 294 ცალი მწვანე სანათის დამონტაჟებას ეხმაურება და აცხადებს, რომ ნათურების 80 პროცენტი (ღირებულება – 119.7 ათასი ლარი) დაზიანდა სამუშაოების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას და მერიას შემუშავებული არ ჰქონდა შესაბამისი მექანიზმი, რომელიც აღნიშნული ზიანის თავიდან აცილებას უზრუნველყოფდა.

ნათურების გარდა, ფოთის მერიამ აუდიტის სამსახურის საყვედური სატრანსპორტო საშუალებებისგან არმიღებული თანხების და ლიფტების მოვლა-პატრონობისთვის გამოყოფილი თანხების გამოც დაიმსახურა.

„2012-2013 წლებში, ფოთის მერიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მომწოდებელთან მრავალსართულიანი სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევის მიზნით, რომლის საერთო ღირებულება 96.5 ათასი ლარია. სახელშეკრულებო ღირებულება ითვალისწინებდა ლიფტების გამართულად ფუნქციონირების ხარჯებს მთელი წლის განმავლობაში. თუმცა, მომწოდებელმა მერიასთან შეთანხმების გარეშე, მოსახლეობას ლიფტით სარგებლობის მომსახურების საფასური დაუწესა და მიღებულმა შემოსავალმა 95.0 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, ერთი და იმავე მომსახურების დაფინანსება ხორციელდება როგორც ქალაქის მერიის, ისე თავად მოსახლეობის მიერ“, – ნათქვამია დასკვნაში.

თუკი აუდიტორები ფოთის მერიას ნათურებთან და ლიფტის გადასახადთან დაკავშირებით ედავებიან, გორის ხელმძღვანელობას გამოყენებული საწვავის გამო აკრიტიკებენ. დოკუმენტით, 2012-2013 წლებში, გორის მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირებზე გაცემულია 109.5 ათასი ლიტრი საწვავი. ამ რაოდენობიდან 30.9 ათასი ლიტრი მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაცემულია ზღვრული ლიმიტების დაუწესებლად და აღნიშნული გარემოება საწვავის არაეკონომიური ხარჯვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენს.

ფოთისა და გორისგან განსხვავებით, აუდიტის სამსახური ოზურგეთში სოციალური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს აფიქსირებს და აცხადებს, რომ 2013 წელს, სოციალური პროგრამებიდან 41.3 ათასი ლარი აუთვისებელი იყო, მაშინ, როდესაც ბენეფიციარად აღრიცხვაზე პროგრამის დაფინანსების უკმარისობის გამო, უფასო სასადილოს მომსახურებაზე ხუთ პრეტენდენტს უარი ეთქვა (ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებულია დღიურად – 1.68 ლარი).

რაც შეეხება სხვა უწყებებს, აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 12 აპრილის ბრძანების საფუძველზე, ესპანეთში მივლინების პერიოდში, მინისტრის მოადგილე მამუკა ვაწაძისთვის ანაზღაურებულია კავშირგაბმულობის ხარჯი 4.8 ათასი ლარის ოდენობით. კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით კი, აღნიშნული თანამდებობის პირის მიერ გაწეული მსგავსი სახის ხარჯები ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა და ლიმიტებს ზევით ანაზღაურებულია – 9.9 ათასი ლარი.

თორდია საკუთარი ხელისუფლების მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილის უწყებაზე წერს, რომ კავშირგაბმულობის ხარჯის სახით ჩამოწერილია მივლინებები და აპარატის თანამშრომლების მიერ როუმინგით სარგებლობის ღირებულება.

„აღნიშნული ღირებულებები ანაზღაურებულია, როგორც ამ თანამშრომლებისათვის მობილურ ტელეფონებზე მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ლიმიტების, აგრეთვე ლიმიტებს ზევითაც. სულ ასეთი სახით ანაზღაურებული თანხა 13.2 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის ლიმიტის ფარგლებში - 3.3 ათასი ლარი (აქედან 2.5 ათასი ლარი ანაზღაურებულია შეუზღუდავი ლიმიტის მქონე ნომრებზე), ლიმიტებს ზევით – 9.9 ათასი ლარი. შესაბამისად, 9.9 ათასი ლარი ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა“, – ნათქვამია დასკვნაში, სადაც საუბარია ავტომანქანა „ტოიოტა LC-200“-ზე გაწეულ ხარჯებზე, თუმცა, დაკონკრეტებული არ არის, ეს ავტომობილი აპარატს რომელ წელს ეკუთვნოდა.

დასკვნის მიხედვით, აპარატის ბალანსზე ავტომობილი 57 დღის განმავლობაში ირიცხებოდა და აღნიშნულ პერიოდში ავტომანქანაზე გაწეულია – 16,5 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის, შეკეთება – 10,5 ათასი ლარი. აღნიშნულ ავტომანქანაზე ხუთი დღის განმავლობაში ათვისებულია მთელი თვის საწვავისა და რეცხვის ლიმიტი.

აღსანიშნავია, რომ დასკვაში ყურადღება გამახვილებულია 2012-2013 წლებში, საჯარო სამსახურში გაცემულ პრემიებზე და ნათქვამია, რომ საკრებულოს დეპუტატებზე პრემიის სახით 13.3 ათასი ლარი მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ გაიცა.

ლაშა თორდიას უწყების დასკვნაში განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ 2010-2012 წლების აუდიტით, შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ წყალსატევებში წყალარინების ქსელიდან ჩამდინარე სითხის გამწმენდი ნაგებობები არ მოეპოვება და აღნიშნული სითხის გაწმენდითი სამუშაოები არ ხორციელდება. უწყების შეფასებით, საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები ირღვევა.

„რიგ შემთხვევებში, წყლის დაცვის მიზნით, არასრულყოფილია ან საერთოდ არ არის შექმნილი სანიტარიული დაცვის ზონები სათავე ნაგებობებსა და სათავე ნაგებობებიდან ჩამომდინარე წყლისთვის შექმნილ რეზერვუარებთან“, – ნათქვამია დასკვნაში.

თეონა მანაგაძე

◎ ალიან-ჩალიანი

დიდუბის პანთეონი ისურება

ამის შესახებ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა განაცხადა.

საკრებულოში განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც ერთ-ერთ საკითხად მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონის დახურვის საკითხი იყო.

გიორგი ალიბეგაშვილის თქმით, პრაქტიკულად დიდუბის პანთეონში არ არის საშუალება მიცვალებულის დასაკრძალად, ამიტომ ბოლო 2-3 თვეა უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა ახალი პანთეონისთვის შესაფერისი ადგილი მოიძებნოს.

„შერჩეული იყო რამდენიმე ადგილი. ეს გახლდათ ე.წ. რუსთაველის მონუმენტი, რომელიც ლოტკინის ასახვევშია. ასევე ზურაბ წერეთლის მიერ აგებული „მეფეთა მონუმენტი“, რომელიც თბილისის ზღვაზეა, მაგრამ ბოლოს კომისიამ გადაწყვეტილება შეაჩერა ახლად მშენებარე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის შემოგარენზე. ამაზე მიდის ახლა საუბარი. პატრიარქის ლოცვა-კურთხევაც არის ამ თემასთან დაკავშირებით. ჩართული არინ სპეციალისტები, სასულიერო პირები, მოქალაქეები, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები. ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში მივიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც პანთეონს, როგორც ისტორიულ ადგილს და არა მხოლოდ დასაკრძალ ადგილს თავის იერსახეს მიანიჭებს და ჩვენს დედაქალაქს ექნება შესაფერისი პანთეონი“, – აღნიშნა გიორგი ალიბეგაშვილმა.

ინტერპრესი

დღევანდელი და წინა ხელისუფლების მხარდამჭერები მეტად აგრესიულად არიან განწყობილი, ასე გაგრძელება ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევების ფონდის ექსპერტს ნოდარ ხარშილაძეს ესაუბრა.

— ბატონო ნოდარ, პარლამენტი შსს-ს გაყოფის შესახებ კანონპროექტის განხილვას იწყებს, რომელიც საპოლიციო და სახელმწიფო უსაფრთხოების ერთმანეთისგან გამიჯვნას ითვალისწინებს. მთავრობის ინიციატივით პარლამენტში წარდგენილია 55 კანონპროექტისაგან შემდგარი საკანონმდებლო პაკეტი, რომლიდანაც მთავარია კანონპროექტი „სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ“ და პროექტი „პოლიციის შესახებ“, რომელთა ამოქმედება 1 აგვისტოდან არის დაგეგმილი. თქვენ როგორ შეაფასებდით პარლამენტში შსს-ს გაყოფის შესახებ წარდგენილ კანონპროექტებს? დამკვირვებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შსს-ს გაყოფით მხოლოდ ტექნიკური გამიჯვნა ხდება. . .

— არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ექსპერტებმა და საპარლამენტო ოპოზიციამ გამოთქვეს ეჭვები ამ კანონის შესახებ. ჩემი აზრით, ეს კანონი არ აგვარებს იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც აქვს შინაგან საქმეთა სამინიტროს. არ იქნებოდა სწორი, არ აღინიშნოს, რომ შსს-ს ეს გაყოფაც თავისთავად პოზიტიური ნაბიჯია. პოლიცია და უშიშროების სამსახური რომ არ უნდა იყოს ერთ ჭერქვეშ და მათი გაყოფა რომ საჭიროა, ფაქტია.

თუმცა, კანონი „პოლიციის შესახებ“ კიდევ უფრო ნაკლებ ბერკეტებს იძლევა ამ სამსახურზე ზედამხედველობის განსახორციელებლად, რაც კიდევ უამრავ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს. საქმიანობა, რომელსაც შსს ახორციელებს, ძალიან სპეციფიკურია, ვგულისხმობ თვალთვალს, მოსმენებს და ასე შემდეგ და ამაზე ნაკლები ზედამხედველობა ცოტა შეშფოთებას იწვევს. ამასთან ერთად, არ იცვლება ძირეული პრობლემა, ვგულისხმობ იმას, რომ შსს-ს არსი რჩება ისევ ისეთი, როგორც აქამდე იყო. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, შსს იყო და დღესაც არის მმართველი პარტიის ძალაუფლების დასაყრდენი ინსტრუმენტი. შსს-ს საშუალებით ხელისუფლება აკონტროლებს სიტუაციას და ცდილობს, უკეთესი პირობებით მივიდეს არჩევნებამდე და ეფექტურად გამოიყენოს ე.წ. ადმინისტრაციული რესურსი, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში ასე გავრცელებული პრაქტიკაა.

— თქვენ ადრეც არაერთხელ გითქვამთ, რომ მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, შსს ყველა მმართველი გუნდის პარტიული პოლიცია იყო. პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტით, შსს-ში რჩება კრიმინალური პოლიცია, საპატრულო პოლიცია, შსს-ში შემავალი იურიდიული პირები, მომსახურების სააგენტო და საგანგებო სიტუაციების სააგენტო. მმართველი გუნდის წევრები კი აცხადებენ, რომ რეფორმის მთავარი პრინციპი უწყების დეპოლიტიზაციაა, მაგრამ თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რა შეიძლება აკლდეს კანონს „პოლიციის შესახებ“, რომ შსს-ს სისტემაში მართლაც მოხდეს უწყების დეპოლიტიზაცია?

— უპირველესად, უნდა ვთქვა იმის შესახებ, რომ დღევანდელი ხელისუფლება უცნაურად იყენებს ტერმინ „დეპოლიტიზაციას“. მეტიც, ამას წინათ პარლამენტის წევრმაც კი ბრძანა — „ნუ ცდილობთ პარლამენტის პოლიტიზირებას“. არადა, როგორ შეიძლება პარლამენტი პოლიტიზირებული არ იყოს, ის ხომ სწორედაც რომ პოლიტიკური ორგანოა.

მთავარი ისაა, რომ შსს უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და არ უნდა ემსახურებოდეს მმართველ ძალას. ეს არის ფილოსოფიური განსხვავება, რომელიც შემდეგ პრაქტიკულ ელემენტებში ვლინდება. თუ შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მექანიზმია, უნდა იყოს გამჭვირვალე და საზოგადოებას შეეძლოს მასზე მონიტორინგის განხორციელება. პოლიციაში დღეს გაერთიანებული არიან მეხანძრეები, მესაზღვრეები, არადა ამ უწყებების ერთ ჭერქვეშ ყოფნისათვის არანაირი ოპერატიული, თუ სტრატეგიული საჭიროება არ არსებობს. თუ სად და როგორ იქნებიან ეს უწყებები, ამაზე დამატებითი მსჯელობაა საჭირო. ფაქტია, რომ ისინი ერთი მმართველობის ქვეშ არ უნდა იყოს. ეს არა მარტო ზედამხედველობის პრობლემებს ქმნის, არამედ მართვისაც.

კანონმდებლობამ არა მარტო უნდა გამოყოს შსს-დან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და აქციოს ახალ სუპერსამსახურად, რომელიც საერთოდ ნაკლებად დაექვემდებარება ზედამხედველობას, არამედ კანონმა უნდა განსაზღვროს წინასაარჩევნო დაპირება შსს-ს გაყოფის შესახებ, საფუძველი ჩაუყაროს შსს-სა და სუსის ისეთ მოწყობას, რომელიც ადვილად დაექვემდებარება საზოგადოებრივ კონტროლს. კანონში მკაფიოდ უნდა ჩანდეს ამ უწყებებზე როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ისე საზოგადოების მხრიდან მონიტორინგის მექანიზმები. პარლამენტში წარდგენილ კანონებში კი ამის მსგავსი არაფერი წერია. უფრო პირიქითაა, ეს უწყებები საზოგადობრივი კონტროლისათვის კიდევ უფრო ხელმიუწვდომელი ხდება.

— ეჭვი არავის ეპარება, რომ შსს-ს მინისტრად ვახტანგ გომელაური დარჩება, მაგრამ ამ კანონპროექტების მიღების შემდეგ ყველაზე დიდი ინტრიგა იმაშია, ვინ გახდება სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი. თქვენი ვარაუდით, ვის შეარჩევს ამ თანამდებობაზე მმართველი გუნდი?

— რამდენადაც ვიცი, ამ თანამდებობაზე ორი კანდიდატურა განიხილება — ბატონი მჭედლიშვილი და ბატონი ჯანელიძე. ბატონი მჭედლიშვილი დღეს შსს-ში, თუ არ ვცდები, კონტრდაზვერვის უფროსად მუშაობს, ხოლო ბატონი მინდია ჯანელიძე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ახლა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელობს. ვფიქრობ, რომ ფავორიტი მინდია ჯანელიძეა, რომელსაც ამგვარ უწყებაში მუშაობის გამოცდილება აქვს.

— აღარავინ დავობს, რომ ნაციონალების მმართველობის დროს შსს ზედმეტად პოლიტიზებული იყო, ისიც უდავოა, რომ მოქალაქეების კანონმორჩილების თვალსაზრისით საკმაოდ თუ არა, მეტ-ნაკლებად წინაც წავიწიეთ, მაგრამ ე.წ. კანონმორჩილება ქვეყანაში საყოველთაო შიშის ატმოსფეროს შედეგი იყო და არა საზოგადოების მიერ აღიარებული კანონმორჩილების კულტურის. ანუ, შსს-სადმი უფრო მეტად ნდობა კი არ იყო, არამედ შიში. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ პოლიტიკური სივრცე და მოქალაქეთა სასიცოცხლო სივრცე უფრო პლურალისტური რომ გახდა, სადავო ნამდვილად არაა. თქვენი აზრით, რა ცვლილებებია შესატანი შსს-სა და სუსის კანონმდებლობაში, რომ „პროცედურული დემოკრატია“, რომელზეც ხელისუფლება ბევრს საუბრობს, ჩვენივე ქვეყნის კანონებითა და კანონმდებლობით გახდეს მიღწევადი?

— ჩემი აზრით, მარტო კანონებში ცვლილებების შეტანა არ იქნება საკმარისი. ჩვენ ძალიან ბევრი კარგი კანონი გვაქვს, რომელიც არ მუშაობს. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების მონაწილე იყო, ჩვენ ბევრი რეკომენდაცია გაგვიწიეს და ძალიან ბევრი კარგი კანონი მიგვაღებინეს. შემდეგი ნაბიჯი იყო ამ კანონების ამუშავება, ანუ იმპლემენტაცია.

ვფიქრობ, რომ ჩვენ 2004 წლიდან არასწორ გეზზე გავედით. საზოგადობასთან ორი მეთოდით ხდება მუშაობა. ერთი, ე.წ. დაძალებითი მეთოდი და მეორეა შეგნებამდე საქმის მიყვანა. ადამინი კანონს ორი რამის გამო არ არღვევს — სასჯელის ეშინია ან შეგნებულია და დანაშაულს არ სჩადის. აქცენტი გაკეთდა არა მოქალაქეების შეგნების ამაღლებაზე, არამედ სასჯელების შემოღებასა და გამკაცრებაზე. მოსახლეობამ საერთოდ არ იცის ამა თუ იმ კანონების არსებობა. ზოგი მათგანი კარგია, ზოგი დასახვეწია, მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ მათი უმეტესობა უბრალოდ არ მუშაობს. შესაბამისად, ჩემი აზრით, ახალი კანონების მიღება საქმეს ვერ უშველიდა. შეგვიძლია დავსვათ იურისტები და კიდევ 100 კანონი მივიღოთ, მაგრამ ეს ეფექტის მომტანი ვერ იქნება.

ჩემი აზრით, გასაკეთებელია ანალიზი იმისა, თუ რა კანონები გვაქვს, რა მუშაობს და რა არ მუშაობს. ამის შემდეგ უნდა დადგინდეს მიზეზი იმისა, თუ რატომ არ მუშაობს ესა თუ ის კანონი. ჩვენ ძალიან კარგი კანონი გვაქვს „საჯარო სამსაახურის შესახებ“. ეს კანონი როგორც იტყვიან, მართლაც შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, იგი იცავს საჯარო მოხელის უფლებებს, განსაზღვრავს სახელმწიფო მოწყობას, მაგრამ ეს კანონი პრაქტიკულად საერთოდ არ მუშაობს. როგორც ადრე, ახლაც, როგორც პოლიტიკურ ლიდერებს გაუხარდებათ ისე ანთავისუფლებენ და ქუჩაში ყრიან საჯარო მოხელეებს. ასე იყო თბილისის მერიაში, თავდაცვის სამინისტროში. ჩვენთან პრობლემაა არა კანონის არარსებობა, არამედ შეგნების დეფიციტი არსებული კანონების შესასრულებლად.

მოსახლეობამ საერთოდ არ იცის ამა თუ იმ კანონების არსებობა. ზოგი მათგანი კარგია, ზოგი დასახვეწია, მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ მათი უმეტესობა უბრალოდ არ მუშაობს. შესაბამისად, ჩემი აზრით, ახალი კანონების მიღება საქმეს ვერ უშველიდა.

გეთანხმებით, რომ რაღაც კანონები იქნება მისაღები, ანაც შესაცვლელი. მაგრამ, ვფიქრობ, რომ იმ კანონების სრულფასოვნად მუშაობაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომელც უკვე არსებობს.

— შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების დინამიკა და პრობლემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. თქვენ რას მიიჩნევდით ჩვენს საშინაო პოლიტიკაში ყველაზე პრობლემატურ საკითხად და თემად, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს როგორც ხელისუფლებამ, ისე საზოგადოებამ?

— ჩემი აზრით, ასეთი ორი ძირითადი თემაა. პირველი გახლავთ საზოგადოების პოლიტიკური ნიშნით გაყოფა და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე საზოგადოებების ერთმანეთის მიმართ უკიდურესად აგრესიული განწყობა. აგრესიულად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილი დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერები და წინა ხელისუფლების მხარდამჭერები, ჩვენს საზოგადოებაში ასევე არიან რუსეთთან ინტეგრაციის მხარდამჭერები, რომელთა მიმართაც საზოგადოების ნაწილი აგრესიას არ მალავს, ნაწილი მათ არსებობას გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად არ იმჩნევს. რა თქმა უნდა, ასეთ ჯგუფს საქართველოში არსებობის უფლება აქვს, ვინაიდან ამ მოსაზრებას საზოგადოების ნაწილი უჭერს მხარს. ამ ჯგუფის ლიდერია ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. ჩვენში ასევე მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც მხარს საერთოდ არავის უჭერს.

პირველი ორი ჯგუფი, ანუ, დღევანდელი და წინა ხელისუფლების მხარდამჭერები ერთმანეთის მიმართ ზომაზე მეტად აგრესიულად არიან განწყობილი და თუ ასე გაგრძელდა, ეს ჩვენ ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს. ძალიან რთულია ამ ყველაფრის მოკლე ვადებში გადაჭრა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ამ პრობლემას კი არ ვაგვარებთ, არამედ საფუძველს ვუყრით ამ პრობლემის კიდევ უფრო გამწვავებას. სამწუხაროდ, საქართველოს ამის მაგალითი აქვს. 90-იან წლებშიც ასე აგრესიულად იყო ერთმანეთის მიმართ ხალხი განწყობილი პოლიტიკური შეხედულებების გამო და ამან ქვეყანა რა საშინელებამდეც მიიყვანა, ვნახეთ.

ჩემი აზრით, მეორე პრობლემა გახლავთ ის, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს ამბიციებს ფეხდაფეხ არ მიყვება ჩვენი ეკონომიკა. ანუ, ჩვენი ამბიციები და ეკონომიკური მდგომარეობა ერთმანეთთან შესაბამისობაში არაა. ეკონომიკური პრობლემები ბევრ სხვა ქვეყანასაც აქვს, მაგრამ ამ შეუსაბამობის გამართლება მაინც არ შეიძლება.

წინა ხელისუფლების დროს ზედმეტი ეკონომიკური დანახარჯები იყო უსაფრთხოების სექტორზე და ინფრასტრუქტურულ მშენებლობაზე, შესაბამისად, ეს ნაკლებად აისახებოდა მოსახლეობაზე. დღეს მეორე უკიდურესობაში ვართ, საერთოდ არანაირი ინვესტიცია არ კეთდება სახელმწიფოს მხრიდან და ფული მიდის ისეთ პროექტზე, როგორცაა უფასო ჯანდაცვა. მართალია, ჩინოვნიკებზე გაცემული პრემიები მცირეა იმასთან შედარებით, რაც მანამდე თავდაცვაზე მიდიოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამდენი ოდენობის პრემიის სახით მიღება ამორალურია. უფასო ჯანდაცვა კარგია, მაგრამ ამაზე რომ თანხები ფიზიკურად არ გვყოფნის, სულ უფრო ცხადი ხდება. ასეთი ეკონომიკით ქვეყანას განვითარების პერსპექტივა ძალიან ნაკლები აქვს.

ეს ორივე პრობლემა ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რაც უფრო უჭირს ხალხს ეკონომიკურად, მით უფრო დიდი აგრესია იქნება პოლიტიკაში. ეკონომიკურად შეჭირვებული ხალხი უფრო იოლად ექვემდებარება რადიკალიზმს. ასეთი მაგალითებით სავსეა მსოფლიო ისტორია. შესაძლებელია, მაგრამ ძალიან რთულია ღარიბ ქვეყანაში თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. ჩემი აზრით, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ეკონომიკის განვითარება უნდა იყოს.

— ფაქტია, რომ რუსეთთან ურთიერთობები კვლავაც ჩვენი საგარეო პოლიტიკის აქილევსის ქუსლად რჩება. ამ მიმართულებაზე, თუ არ ჩავთვლით სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში გადადგმულ ნაბიჯებს, ყველაფერი კვლავაც პრობლემატურია. თქვენ როგორ შეაფასებდით რუსეთ-საქართველოს ურთიერთოებების დღევანდელ მდგომარეობას და იმ პროცესებს, რაც ამ მიმართულებით ხდება?

— სამწუხაროდ, საქართველოს ყველა ხელისუფლება თავის საქმიანობას იწყებდა რუსეთთან ურთიერთობების დალაგების მცდელობით. ამის გაკეთება სურდა შევარდნაძეს, სააკაშვილს, შემდეგ — ივანიშვილს. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ყველას ეს პროცესი ჩაუვარდა. დღესაც ბევრი ხმაურია, თითქოს ძალიან ბევრს ვაკეთებთ ამ მხრივ, მაგრამ შედეგი არის მიზერული. ალბათ სჯობია, რომ თავი აღარ მოვიტყუოთ და ვთქვათ, რომ რაღაცები რუსეთთან არ გამოდის. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ გამოგვდის, მაგრამ სინამდვილეში არ გამოგვდის, გამოდის, რომ თავს ვიტყუებთ და ვართ იმ რეჟიმში, რომ რაღაცას ველოდებით იქედან, საიდანაც ეს რაღაცა არ მოვა. ამ რეჟიმში ალბათ, არ მოვა არასდროს.

თვალი უნდა გავუსწოროთ იმას, რომ რუსეთს ჩვენი ევროპასთან ინტეგრაციული პროცესები გააღიზიანებს და რუსეთი ამ მთავრობით, ჩვენი საერთაშორისო ამბიციებიდან გამომდინარე და რუსეთი იმპერიული ამბიციებიდან გამომდინარე ჩვენთვის ვერ იქნება პრაგმატული პარტნიორი. მას უჭირს გვაღიაროს ცალკე სუბიექტად, და სხვა რამეზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ამის გათვალისწინებით უნდა ვაწარმოოთ მასთან პოლიტიკა და, რა თქმა უნდა, უნდა მოვერიდოთ დამატებით მის გაღიზიანებას. მაგრამ, რუსეთის გაუღიზიანებლობა არ უნდა იყოს ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზანი.

კობა გენდელიანი

კონტაქტები

არავინ იცის, ჩინეთი რა მოთხოვნებს წაუყენებს საქართველოს

ჩინეთის მიერ ევროპამდე რკინიგზის გაყვანის სურვილს და ამ კონტექსტში საქართველოს ჩართვას ქართველი ექსპერტები დამაფიქრებლად მიიჩნევენ. მათთვის ჩინეთი არაპროგნოზირებადი ქვეყანაა, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი. ამიტომ ჩნდება კითხვები, რკინიგზის გაყვანით ჩინეთი ხომ არ აბამს საქართველოს სათავისო ევროპული პოლიტიკის ჯაჭვში?! რისთვის ან რომელი პოლიტიკისთვის იყენებს საქართველოს ჩინეთი და ხომ არ არის მოსალოდნელი, ჩინეთმა ამ რკინიგზაზე დასვას თავისი შეიარაღებული ძალები და ამოძრავოს კონტინენტზე?!

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, საქართველოში ჩინური გავლენა იზრდება და ამას როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეც აქვს, რაზეც ჩვენი საზოგადოება და მთავრობა უნდა დაფიქრდეს, რადგან არავინ იცის, ჩინეთი, ეკონომიკური და პოლიტიკური დაცვის სანაცვლოდ, საქართველოს რა მოთხოვნებს წაუყენებს. მით უმეტეს, ჩინეთი დემოკრატიასთან მწყრალადაა და თავისი გავლენის სფეროებში მართვის საკუთარი სტილის გატარებას ცდილობს.

ექსპერტის თქმით, აბრეშუმის გზის გაყვანა, კონტინენტის მასშტაბით, ჩინეთის მიერ გადადგმული პირველი მსხვილი ნაბიჯია და, თუ აღმოჩნდება, რომ ეს რკინიგზა ანტიევროპული პოლიტიკის მატარებელია, შეიძლება, სერიოზული არჩევანის წინაშე დადგეს საქართველო.

„კითხვების დასმის უფლება ყველას აქვს, ჯერჯერობით ეს კითხვები უპასუხოდაა დატოვებული, რადგან ყველას აშინებს ჩინეთის არადემოკრატიულობა და, ამავე დროს, უდიდესი პოტენციალი. პირველი, რაც შეიძლება, იგულისხმო და ამაზე ვერც ერთ ქვეყანას ვერ მოედავები, ეს არის ეკონომიკური ინტერესი და ამ მასშტაბის პროექტი, ისევე, როგორც ადრინდელი აბრეშუმის გზა, უდავოდ სავაჭრო-კომერციულ ინტერესს აკმაყოფილებს, მაგრამ იმ ტიპის ქვეყნისთვის, როგორიც ჩინეთია, ვარაუდები ბოლომდე გამოსარიცხი არ არის. აქამდე ჩინეთი კონტინენტის კონფლიქტებში არ ერეოდა და იყო თავისთვის. შორეულ აღმოსავლეთში ანგარიშები ჰქონდა ამა თუ იმ ქვეყანასთან, მაგრამ, თუკი მისი გავლენა გაიზრდება, ბუნებრივია, ეს ყველა სახელმწიფოს ინტერესის საგანი გახდება. ეს არ არის ჩვენზე მომართული იმდენად, რამდენადაც, ზოგადად, მსოფლიო პროცესების შეცვლა არის მოსალოდნელი იმ ვარიანტით, თუ ჩინეთმა გაშალა თავისი გავლენა. ერთ-ერთი ზონა ამ გავლენისა საქართველოა. კონკრეტულად, საქართველოსთვის შეიძლება ხელსაყრელიც იყოს ჩინეთის ასეთი გაფართოება, რამდენადაც ჩინეთი, ადრე თუ გვიან, დაუპირისპირდება რუსეთს, რუსეთს კი მწვავე პრობლემები უდგას ჩინეთთან ურთიერთობაში, რომლიდანაც ჩინეთი უკან არ დაიხევს, მას ხომ ტერიტორიები სჭირდება, რუსეთის ტერიტორიები კი აუთვისებელია... ისევე, როგორც ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების დაძაბვის შედეგად რუსეთი ისე თამამი ველარ არის საქართველოსთან მიმართებით, სავარაუდოა, ასეთივე სიტუაცია შეექმნას რუსეთს აღმოსავლეთიდან ჩინეთის სახით. ამდენად, საქართველოსთვის ჩინური პროცესი შეიძლება, გარკვეული თვალსაზრისით, მომგებიანი იყოს, ოღონდ ვიმეორებ - გარკვეული თვალსაზრისით. თუ აღმოჩნდა, რომ ჩინეთი თავისი გაფართოების პროპორციულად აპირებს, გაავრცელოს თავისი ცხოვრების წესი და გასცილდეს კომერციულ მიზნებს, მაშინ საქართველო აღმოჩნდება სერიოზული პრობლემის წინაშე იმიტომ, რომ საქართველო ხაზგასმით დემოკრატიის კურსზეა ორიენტირებული“, — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ For.ge-სთან საუბარში.

მანვე გაიხსენა ამერიკის მაგალითი და აღნიშნა, რომ თვით დემოკრატიის მამად წოდებულმა ამერიკამაც კი გამოიყენა სამხედრო პოტენციალი იქ, სადაც დასჭირდა, მათ შორის, იუგოსლავიაშიც, ხიროსიმა-ნაგასაკზე რომ არაფერი ვთქვათ. ამიტომაც ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც აფართოებს თავისი გავლენის არეალს, უწევს ხოლმე გარკვეული სამხედრო პოტენციალის გამოყენება. ჩინეთის შემთხვევაშიც, ჯერჯერობით სამხედრო თემა არ მოდის წინა პლანზე, მაგრამ წინა პლანზეა ცვლილებები ქართული ცხოვრების წესში, წმინდა კულტურული, მენტალური, ზოგადსოციოლოგიური, პოლიტიკური ასპექტები, რაც ამ ეტაპზე დამაფიქრებელია. ხოლო, თუ მოვლენები სამხედრო ხასიათს მიიღებს, ეს უკვე ცალკე საუბრის თემა იქნება.

სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინ For.ge-სთან საუბარში ჩინეთის პრაგმატულ ინტერესზე ამახვილებდა ყურადღებას პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე,** ოღონდ ეს ინტერესი განსაკუთრებით დღევანდელი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთთან მიმართებით იგრძნობოდა, სადაც 2 მილიარდს გადააჭარბა ჩინეთის მოსახლეობამ და, რომლის მეოხებითაც, ჩინეთი ცდილობდა, თავისი ტერიტორიების დაბრუნებას, ოღონდ არა საომარი რიტორიკით რუსეთთან, არამედ ჩინელების იქ ჩასახლებით. ეს კი რუსეთისთვის სერიოზული საფრთხე იყო.

ამ საფრთხეზე რუსი ექსპერტებიც ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითად, ექსპერტი **ალექსანდრე ალადინი** ამას წინათ წერდა, რომ ჩინეთი ომისთვის ემზადებოდა და ყოველწლიურად სამხედრო ბიუჯეტს ზრდიდა, რაც უკვე 78 მილიონ დოლარს უტოლდებოდა. უფრო მეტიც, რუსეთში საგანგაშოდ უყურებენ იმ ფაქტს, რომ ჩინეთი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრობს და ამ მიზნით ჩინეთის მოქალაქეობის მიღებას უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ამარტივებს. ეს კი რუსული დამპყრობლური კანონპროექტის ანალოგიურია.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ექსპერტი **სერგი კაპანაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ საეჭვოა, საქართველოს ჩინეთისგან რაიმე დაემუქროს. მით უფრო, რომ ჩინეთის მზარდ ინტერესს რკინიგზასთან კავშირი არა აქვს და ის, რომ ჩინეთი ამბიციური ქვეყანაა და ეკონომიკური პოტენციალით გამოირჩევა, ჩვენთვის სახიფათო არ არის. სერგი კაპანაძის თქმით, ასეთი შიში შეიძლება ჰქონდეს რუსეთს, რომელიც მისი ტერიტორიის, ანუ შორეული აღმოსავლეთის გამო ახლოს არის ჩინეთთან.

მანანა ნოზაძე

რა მოსწონთ და რა არა ტურისტებს საქართველოში

„ქართველებმა დროის ფასი არ იცით“

ბოლო წლებში საქართველო ტურისტების სიმცირეს არ უჩივის. დედაქალაქში ჩამოსული ტურისტებისთვის ყველაზე მიმზიდველი მაინც ძველი თბილისის უბნები, ელიას მთა და ნარიყალას ციხეა, საღამოობით კი მათ ლესელიძისა და შარდენის ქუჩებზე შეხვდებით. თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი ტურისტი კახეთში, ხევსურეთში, ბორჯომში, ყაზბეგსა და სვანეთშია.

რა მოსწონთ და რა არა ტურისტებს საქართველოში? ამის გასარკვევად თბილისის ქუჩებში უცხოელ ტურისტებს გავესაუბრეთ.

ესპანელ წყვილს, ვალენტინოსა და პასკალს შარდენზე შევხვდით. შეკითხვებზე თავაზიანად გვიპასუხეს და ფოტოს გადაღებაზეც დაგვთანხმდნენ. „საქართველო საოცარი ქვეყანაა. ქართველები უცხოელების მიმართ საოცრად კეთილგანწყობილნი არიან. ყველაზე მეტად რაც არ მოგვწონს, მაღალი ფასებია — თბილისი ევროპის სხვა ქალაქებზე ბევრად ძვირია. რამდენიმე დღის წინათ რესტორანში ვახშმობა 300 ლარი დაგვიჯდა. ეს კი ძალიან ბევრია(?!)“, — გვითხრა ესპანელმა წყვილმა.

ჟანსა და მიშელს მეტროში შევხვდით. ისინი მგზავრებს აკვირდებოდნენ. გაჩერებაზე მოწყალების სათხოვნელად ბოშა გოგონა შემოვიდა და მგზავრებს ჩამოუარა, ტურისტების დანახვაზე კი უმალ მათკენ გაეშურა. მამაკაცმა ხელით უარი ანიშნა. გოგო მაინც არ მოეშვა და პერანგზე დაეჯაჯგურა. ის იყო, ვიფიქრე, ტურისტს მოთმინების ძაფი გაუწყდება-მეთქი და, ტურისტს არა, მაგრამ მის გვერდით მდგომ ქართველ მამაკაცს ნერვებმა უმტყუნა და ბავშვს ხელი ჰკრა, მოშორდიო. ისიც წავიდა. წყვილი წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა. მეც დრო ვიხელთე და გამოველაპარაკე. **„საფრანგეთიდან ვართ. მათხოვარი ნებისმიერ ქვეყანაშია. სამწუხაროდ, ეს ჩვენი რეალობაა... საქართველოში პირველად ვართ. უკვე ვიყავით კახეთში, სვანეთში. ექსტრემალური სპორტის მოყვარულთათვის მართლაც საუკეთესო ადგილებია. დასანანია, რომ უცხოელებს ადგილობრივები ფასებს ლამის უასმაგებენ. ჩვენთანაც ძვირია სუვენირები. თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ფეხით დავდივართ. მეტრო მართლაც კარგი გაქვთ, რასაც ვერ ვიტყვი ავტობუსზე. მუდამ გადატვირთულია, თან გვეჩვენება, რომ ხალხი ყველაფერზე ჩხუბობს“,** — აღნიშნეს ფრანგმა სტუმრებმა.

შტეფანი გერმანელია. პირველად საქართველოში ოცი წლის წინათ ჩამოვიდა. ამბობს, რომ დღევანდელი საქართველო რადიკალურად შეცვლილია: გზები, ინფრასტრუქტურა მაღალ დონეზეა. **„გასაოცარი ბუნება გაქვთ. სამზარეულოზე არაფერს ვამბობ. ნიგვზიან ბადრიჯანზე ვგიჟდები, ისე მომწონს. პირველად რამაც საქართველოში გამაოცა, არაპუნქტუალურობა იყო. ასევე, გადაჭარბებულმა ხმაურმა. არ გეწყინოთ, მაგრამ ქართველებმა დროის ფასი არ იცით“,** — ამბობს შტეფანი.

სალომე გოგოხია

კაკალ გულში

● **აბა დააკვირდით, თუ ვინ იბრძვის მაჟორიტარული სისტემის გაუქმებისთვის: — ის ხალხი, რომლებიც ვერასდროს ვერ მოხვდებოდნენ პარლამენტში და ვერც ვერასდროს ვერ მოხვდებიან, რომ არა სხვადასხვა გარემოებების მიერ დასმული დუ-შაში.**



აბა დააკვირდით, რომელიმე ე.წ. პოლიტიკოსი გაკვრით მაინც თუ საუბრობს პარლამენტის წევრის გამოწვევის პროცედურის შესახებ? რას ნიშნავს პროპორციული და სამხარეო-პროპორციული სიები? თავად ამ ე.წ. კანონპროექტის ავტორებს თუ შეუძლიათ ადამიანურ

ნესციილოჯანი თესაზები

ენაზე ახსნან ეს მორიგი აბსურდი?

ყველა ნორმალურ ქვეყანაში საკანონმდებლო ორგანოს არჩევის მხოლოდ მაჟორიტარული წესი არსებობს და ეს წესი არსებობს იმიტომ, რომ იმ ქვეყნების მოსახლეობას ნამდვილად სტკივა თავისი ქვეყანა. ამიტომ ყველა ტიპის ავანტიურისტს და მედროვეს თამამად ეუბნება არას.

● **რატო ვგონივართ ამ ხალხს ზესკლეროზიანები, ამიხსენით რა? ეკა გიგაურმა, საჯარო სამსახური აპოლიტიკური უნდა იყოს (აუცილებლადო!)... კი ბატონო, გადასარევი ინიციატივაა, მაგრამ მანამდე იქნებ გვითხრას ქალბატონმა ეკამ მიშას მმართველობის პერიოდში რამდენად აპოლიტიკური იყო საჯარო სამსახური? (თვითონაც ხო საჯარო მოხელე იყო). პროცენტულად მაინც გვითხარი, ნაციონალების დროს რამდენი არანაციონალების მომხრე და ოცნების დროს რამდენი ოცნების მაგინებელია დასაქმებული? აპოლიტიკურობა კიდე ბევრ ასპექტს მოიცავს, მაგრამ ჯერ ეს მოჰყე!**

● **თამარ ბერუჩაშვილის მოთხოვნაზე, — რუსეთმა შესაბამისი ფასი უნდა გადაიხადოს იმისათვის, რაც მან ჩაიდინა საქართველოსა და უკრაინაშიო, — რუსეთს უთქვამს, გადავიხდით, ოღონდ რახან არ გველაპარაკებით, „შესაბამის ფასს“ კასპში, ერთ დიდ კლდესა დავდებთო. საგარეო საქმეთა სამინისტრო ხვალ კასპში ფასის ამოღების ღონისძიებას ჩაატარებს. დასწრება თავისუფალია.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძე

მგონი სულაც თაღლითობა!

აფრიკული კულტურა და ქართული უკულტურობა

ამ ამბიდან ზუსტად ერთი თვე გავიდა და რაკი რაიმე სასიკეთოს მოლოდინი უკვე აღარ მაქვს, იძულებული ვარ, ყველაფერი თანამიმდევრულად და წვრილად მოვყვე.

10 მაისს თბილისში, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში აფრიკული კულტურის საღამო გაიმართა.

აფრიკულ კულტურაზე ამჯერად არაფერს ვიტყვი, ქართულ უკულტურობაზე კი აუცილებლად უნდა ვთქვა.

თუმცა, იქნებ მხოლოდ უკულტურობაშიც არ იყოს საქმე და ყველაფერ იმას, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო, რომელიმე თქვენგანმა სულაც თაღლითობა უწოდოს.

აპრილის შუა რიცხვებში ერთმა ჩემმა კეთილმა ნაცნობმა, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ იაპონიაში გადაღებული ჩემი ფოტოების გამოფენა მოაწყო, დამირეკა და აფრიკის ფოტოები ხომ არ გაქვსო, მკითხა. „ნეიშნლ ჯიოგრაფიკში“ ჩემი მეგობრები არიან, საქართველოში აფრიკის დღეები ეწყობა და ეძებენ, თუ ვინმეს რაიმე აქვს აფრიკაზე გადაღებულიო. თუ რამ გაქვს, შენს ტელეფონს მივცემო.

როგორ შეიძლება „ნეიშნლ ჯიოგრაფიკს“ პატივს არ ვცემდე! მის ფოტოებთან ჩემი ფოტოები რა მოსატანია, მაგრამ რაკი დასჭირვებიათ, რატომაც არა, მიეცი ჩემი ტელეფონი და ფოტოებს სიამოვნებით მივართმევ-მეთქი.

2 მაისს დამირეკეს. ლელა ბეჟუაშვილი ვარო, — გამეცნო, — აფრიკის დღეების ფარგლებში ფოტოგამოფენას ვაწყობთ და, როგორც გვითხრეს, თქვენც გქონიათ აფრიკის ფოტოები, თუ შეიძლება, გამოგვიგზავნეთო.

კი, ბატონო, როგორი ფოტოები გჭირდებათ-მეთქი.

თქვენ ყველა გამოგვიგზავნეთ და ჩვენ ავარჩევთო!

ყველა როგორ გამოგიგზავნოთ, ან როგორ აარჩევთ, რამდენიმე ათასია, ის მაინც მითხარით, მხატვრული ფოტო გჭირდებათ, მოვლენური, ეთნოგრაფიული, პორტრეტული, პეიზაჟური თუ ჟანრული-მეთქი, — გავიკვირვე!

კარგით, მეილზე მოგწერთო.

მართლაც იმავე დღეს 3 საათსა და 34 წუთზე გამოგზავნილი ასეთი მეილი მივიღე:

„კიდევ ერთხელ მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ დაინტერესებისთვის. გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლისა და მსოფლიო მშვიდობის ფედერაციის ინიციატივით ეწყობა აფრიკის დღეები საქართველოში, რომლის ფარგლებშიც 10 მაისს თბილისში გაიმართება გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება აფრიკული კულტურის ამსახველი ნახატები, ფოტოები, ფოლკლორი, სამზარეულო და ა. შ. გამომდინარე იქიდან, რომ ცალკეული თემატიკა არ გვაქვს არჩეული, გთხოვთ თქვენი სურვილისამებრ გამოგვიგზავნოთ 5-10 ფოტო თითოეული თემატიკიდან. გიგზავნით ბმულს დეტალური ინფორმაციისთვის. პატივისცემით, ლელა ბეჟუაშვილი.“

მივყევი ბმულს. ფეისბუქის გვერდი აღმოჩნდა, რომელშიც ეწერა, რომ მსოფლიო მშვიდობის ფედერაციის საქართველოს განყოფილების და გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის ორგანიზებით 2015 წლის 27 აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით საქართველოში ჩატარდება აფრიკის დღეები და რომ პროექტის მთავარი მხარდამჭერია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კერძოდ, გაეროს ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოში.

სერიოზული რამ ჩანდა, ერთ ფრაზაში სამჯერ ნახსენები გაეროთი.

ორი დღე მოვუნდი სურათების გადარჩევას და დახარისხებას. ჩემი აზრით, 85 საუკეთესო შევარჩიე და 5 მაისს გავუგზავნე ასეთი ტექსტით:

„მოგესალმებით, ლელა,

რამდენიმე წუთის წინ wetrnsfer.com-ის მეშვეობით გამოგიგზავნეთ 85 ფოტო. გთხოვთ, დამიდასტუროთ მათი მიღება და წარმატებით ჩამოტვირთვა.

საუკეთესო სურვილებით,

პაატა ნაცვლიშვილი.“

პასუხი ორი დღის შემდეგ, 7 მაისს გამოგზავნეს:

„მოგესალმებით ბატონო პაატა,

დიდი მადლობა გაწერული დახმარებისთვის, აუცილებლად ავარჩევთ ფოტოებს გამოფენისთვის. გამოფენა გაიმართება კვირას, 10 მაისს ზ. წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში. გამოფენის ღია ნაწილი დაიწყება 16:00 სთ-ზე, ხოლო დახურული, სადაც დასწრება მხოლოდ სპეციალური მოსაწვევებით იქნება შესაძლებელი, დაიწყება — 19:00 სთ-ზე.

გთხოვთ, მომწეროთ მისამართი, სადაც ხვალ შევძლებ დახურული ნაწილის მოსაწვევის გამოგზავნას თქვენთვის.

პატივისცემით,

ლელა“.

ეს „გაწერული დახმარება“ არ მომეწონა. არა კორექტურული შეცდომის, ზედმეტი „რ“-ს, არამედ სიტყვა „დახმარების“ გამო. რაში უნდა დასჭირვებოდათ ესოდენ სოლიდური ინსტიტუციებით მხარდაჭერილ ხალხს ჩემი დახმარება ?! პასუხი კი თითქმის მყისიერად დავუბრუნე:

„დიდი მადლობა, ლელა,

მიხარია, რომ ჩემი ფოტოებიც გამოგადგათ.

მოსაწვევის გამოგზავნა შინ ჯობია“ —

და მისამართს ყოველი შემთხვევისთვის მობილური ტელეფონის ნომერიც მივაყოლე, რომ ჩემი მოძებნა არ გასჭირვებოდათ.

მაგრამ თურმე ვინ გეძებს! ვის სჭირდები!

არც მოსაწვევი მიმიღია და არც რამ პასუხი!

10-ში მაინც წავედი ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, თან მეუღლე და ჩემი მეგობარი, ცნობილი ფოტოგრაფი ბადრი ვადაჭკორია წავიყვანე, დახურულ თუ არა, ღია ნაწილზე ხომ შევალთ, რომ ის მაინც ვნახო, რომელი ფოტოები აარჩიეს-მეთქი.

ჩემი არც ერთი ფოტო იქ არ ყოფილა! იყო პიუპიტრებზე ჩამოდებული ათიოდე მომცრო ფოტო, არათუ წარწერის, ავტორის მითითების გარეშე. და კიდევ იყო რამდენიმე გრაფიკული ჩანახატი.

გაეროსა და მშვიდობის მსოფლიო ფედერაციის მიერ მხარდაჭერილი ხალხი კი არა, საქართველოს რომელიმე სოფლის კლუბს რომ მოეწადინებინა აფრიკის კულტურის ფოტოებითა თუ ნახატებით წარმოჩენა, გაცილებით უკეთეს გამოფენას მოაწყობდა!

იმედგაცრუებული და შეურაცხყოფილი გამოვედი საგამოფენო დარბაზიდან. „დახურულ ნაწილს“ როგორღა დავუცდიდი!

რატომღაც მეგონა, ან ტელეფონით მოიხდიდა ვინმე ბოდიშს ან ელექტრონული ფოსტით.

არაფერი ამის მსგავსი!

იმ ჩემს კეთილ ნაცნობს, ვინც აფრიკის დღეების ორგანიზატორები ჩემთან დააკავშირა, შევჩივლესავით, — ეს რა ხალხს გადამყარე-მეთქი. შეწუხდა, მაგრამ ვერაფერი მითხრა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მათსავე ფეისბუქგვერდზე ვნახე, როგორ დაურიგეს ერთმანეთს რაღაც სიგელები თუ სერტიფიკატები აფრიკის კულტურის დღეების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, როცა ვნახე, როგორ იწონებდა თავს ლელა ბეჟუაშვილი ერთი ასეთი სიგელით, სამნიშნიანი მეილი გავუგზავნე მას:

„???“

მეგონა, ამიხსნიდა და თავს გაიმართლებდა, — რა მოხდა, რატომ შეეცვალათ გეგმები და, მართალი გითხრათ, ბოდიშის მისაღებადაც მზად ვიყავი. ხანდახან ხომ ხდება, რომ ყველაფერს ისე ვერ აკეთებ, როგორც გინდა, ათასი რამ გიშლის ხელს...

მაგრამ ჩემს უსიტყვო, თუმცა ლელასთვის კარგად გასაგებ შეკითხვაზე პასუხი დღემდე არ მიმიღია. როგორც ჩანს, მან ამის ღირსად არ ჩამთვალა.

მაშინ იყო, რომ დავეჭვდი: უკულტურობა უკულტურობად, მაგრამ იქნებ სხვა რამ ხდება-მეთქი. სიგელ-სერტიფიკატების დარიგება და აფრიკის კულტურის დღეების მასშტაბი თავისი გამოფენით, აფრიკული ცეკვებით, საფეხბურთო მატჩებით, მუსიკის ცოცხალი შესრულებით, ხეების დარგვით, აფრიკული სამზარეულოთი და „დახურული ნაწილით“ მაფიქრებინებს, რომ ამ ყველაფრისთვის არცთუ მცირე თანხა იყო გამოყოფილი იმ პატივცემულო ინსტიტუციების მიერ, რომელთა სახელს ორგანიზატორები ამოეფარნენ. ვინ იცის, იქნებ ის ჩემი 85 ფოტო, რომლებიც ვერ ან არ გამოფინეს, სინამდვილეში თავიანთ დონორებთან წარადგინეს და რომელიღაც ფინანსურ ანგარიშში გამოიყენეს კიდეც.

ვინ იცის, იქნებ ამიტომ მთხოვდა ლელა ბეჟუაშვილი, ყველა ფოტო გამოგვიგზავნე და ჩვენ ავარჩევთო, ვინ იცის, იქნებ ამიტომაც მიხდიდა მადლობას „დახმარებისთვის“. დახმარებაა, აბა რა არის — თანხა გაქვს გასაწერი და უცებ 85 ფოტო ჩაგივარდება ხელში, რომელთაც როგორც გინდა, ისე შეაფასებ და დააფასებ!

ძალიან მინდა ჩემი ეჭვები არ გამართლდეს და საქმე არა თაღლითობასთან არამედ სწორედაც უბრალო უკულტურობასთან გვქონდეს.

თუმცა ლელასთვის, რომელიც თუ მხოლოდ ფოტოთი ვიმსჯელებთ, საკმაოდ სიმპათიური გოგონა ჩანს, არა მგონია, ეს დიდი შეღავათი იყოს.

ხოლო ის სამი კითხვის ნიშანი, ამჯერად უკვე სხვა მისამართზე მინდა გავაგზავნო ამ საგაზეთო წერილის მეშვეობით.

იმედი მაქვს, ჩემს კითხვას და ეჭვებს გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი ლაშა შაყულაშვილი და მშვიდობის მსოფლიო ფედერაციის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი ტუმასიანი უპასუხებენ.

დარწმუნებული ვარ, ბოდიშსაც მომიხდიან ამავე გაზეთის და თავ-თავისი ფეისბუქ-გვერდების მეშვეობით.

პაატა ნაცვლიშვილი

◎ სტიქია

სოფელ ბაისუბანში ათამდე სახლის პირველი სართულები დაიტბორა

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, წყალდიდობა გაუწმენდავმა სანიაღვრე არხებმა გამოიწვია.

წვიმას ლაგოდეხის რაიონში ძლიერი ქარი ერთვოდა, რის გამოც რამდენიმე საცხოვრებელი სახლი სახურავის გარეშე დარჩა.

სტიქიის ზონაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. გამგებლის მოადგილის გიორგი ბოკერიას განცხადებით, სანიაღვრე არხების მოწესრიგების პროექტზე გამგეობა უკვე მუშაობს. რაც შეეხება ქარით მიყენებულ ზარალს, ბოკერიას განცხადებით, ზარალის დათვილს შემდეგ გახდება ცნობილი, რა ფორმით დაეხმარება ხელისუფლება მოსახლეობას.

ძლიერმა წვიმამ და ქარმა ყვარლის რაიონი დააზარალა

კახეთში ისევ სტიქიას ებრძვიან. კვირას ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად, ყვარლის რაიონი დაზარალდა. ქარიშხალმა ყვარელში ათამდე ხე მოგლიჯა, რის გამოც რამდენიმე საათით შეფერხებული იყო მოძრაობა ლაგოდეხი-ყვარელი-თელავის მთავარ მაგისტრალზე.

სტიქიამ ყვარლის ტბისკენ მიმავალი გზაც ჩახერგა. სამაშველო და ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის კეთილმოწყობის სამსახურები, გზის გაწმენდით სამუშაოებს მთელი ღამის განმავლობაში აწარმოებდნენ.

ჭიკაანში სეტყვამ ვენახი და ხეხილის ბაღები გაანადგურა

წუხანდელი ძლიერი სეტყვის შედეგად, ყვარლის სოფელ ჭიკაანს სერიოზული ზარალი მიადგა. სეტყვამ რამდენიმე ათეული ჰექტარი ვენახი, საზამთროსა და ნესვის ბაღები მთლიანად გაანადგურა.

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, სეტყვა ნახევარი საათი გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა არ ამოქმედებულა.

სეტყვით დაზარალებული მოსახლეობა დახმარებას ითხოვს, ფერმერები კი აგროკრედიტის გადავადებას ითხოვენ.

თეთრიწყაროც დაიტბორა

თეთრიწყაროს რაიონში გადაუღებელი წვიმის შედეგად რამდენიმე სოფელი დაზარალდა. მოვარდნილმა წყალმა სოფლებთან დამაკავშირებელი ხიდები წაიღო, დაზიანდა საავტომობილო გზებიც.

მოსახლეობას არ მიეწოდება ელექტროენერგია. განადგურებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, დახოცილია პირუტყვი. სტიქიის შედეგად დაზარალდა ქვემო და ზემო ირაგას მოსახლეობაც.

ქვემო ქართლის გუბერნატორის პაატა ხიზანაშვილის თქმით, მიმდინარეობს ზარალის დათვლა.

ინტერპრესი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №

„----------“ ივნისი 2015 წ. ქ. თელავი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და სხვა ქონებაზე გარე რეკლამის ნებართვის გასაცემად აუქციონის გამოცხადების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-14 მუხლის, „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-12 მუხლის და „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და სხვა ქონებაზე გარე რეკლამის ობიექტების ნუსხისა და გარე რეკლამის ნებართვის გასაცემად განკარგვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №14 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (შემდგომ ტექსტში – თელავის მუნიციპალიტეტი) საკუთრებაში არსებულ მიწაზე და სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით დანართ №1-ში მითითებულ ობიექტებზე;
2. დამტკიცდეს უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გასაცემი ობიექტების შესახებ ინფორმაცია დანართი №2-ის შესაბამისად;
3. აუქციონის ჩატარება და გამოცხადებული უპირობო საჯარო აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება უზრუნველყოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 15 აპრილის №382 ბრძანებით შექმნილმა თელავის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედმა სააუქციონო კომისიამ;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი **ალექსანდრე შათირიშვილი**

დანართი №1

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და სხვა ქონებაზე გარე რეკლამის ნებართვის გასაცემი ობიექტების ნუსხა

№	კოორდინატები	მისამართი და ზომები
1	X 534612.678 4641854.541	სოფ. ვარდისუბანი, რესტორანი „თელაურიდან"100 მეტრის მოშორებით ჩრდილოდასავლეთის მხარეს 6,0X3,0X2
2	X 537630.582 4641660.167	სოფ. ვარდისუბანი თელავი-ვარდისუბნის წრის სამხრეთით 6,0 X 3,0
3	X 542772.086 4641042.356	ქ. თელავის შემოსასვლელში შალაურის მხრიდან რესტორანი „ზღაპარი"-ს აღმოსავლეთით საავტომობილო გზის გასწვრივ 6,0 X 3,0 X2
4	X 548101.49 4635222.13	სოფ. წინანდლის შემოსასვლელში ქვ. ხოდაშნიდან დოლიაურის ხევთან ცენტრალური საავტომობილო გზის ჩრდილოეთით 6,0 X 3,0 X2
5	X 533479.411 4643931.146	სოფ. იყალთოს შესასვლელთან თელავის მხარეს ცენტრალური საავტომობილო გზის ჩრდილოეთით 6,0 X 3,0 X2
6	X 537694.00 4641671.346	სოფ. ვარდისუბნის წრესთან ჩრდილო აღმოსავლეთით თელავში შემოსასვლელთან 6,0 X 3,0
7	X 537794.00 4641771.346	სოფ. ვარდისუბნის წრესთან ჩრდილო აღმოსავლეთით თელავში შემოსასვლელთან 6,0 X 3,0 X2
8	X 534873.346 4641872.000	თელავი-გომბორი-ვაზიანის გზაზე რესტორანი „თელავურის“ აღმოსავლეთით 30 მეტრში 5,4 X 3,0 X2
9	X 547786.605 4638171.917	სოფ. წინანდალში №9-ე ქუჩის დასაწყისში ავტობუსების გაჩერების აღმოსავლეთით 1,5 X 1,5
10	X 537652.652 4641662.082	სოფ. ვარდისუბნის წრის სამხრეთით, 6,0 X 3,0 X 2,

გამგებელი **ალექსანდრე შათირიშვილი**

დანართი №2

ინფორმაცია უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გასაცემი ობიექტების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე:

ლოტის №	ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა	კოორდინატი	ზომა	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი ფასი (ლარი)
ლოტი №1	სოფ. ვარდისუბანი, რესტორანი „თელაურიდან"100 მეტრის მოშორებით ჩრდილოდასავლეთის მხარეს	X 534612.678 4641854.541	6,0 X 3,0 X 2	5400	540	540	20
ლოტი №2	სოფ. ვარდისუბანი თელავი-ვარდისუბნის წრის სამხრეთით	X 537630.582 4641660.167	6,0 X 3,0	2700	270	270	20
ლოტი №3	ქ. თელავის შემოსასვლელში შალაურის მხრიდან რესტორანი „ზღაპარი"-ს აღმოსავლეთით საავტომობილო გზის გასწვრივ	X 542772.086 4641042.356	6,0 X 3,0 X 2	5400	540	540	20
ლოტი №4	სოფ. წინანდლის შემოსასვლელში ქვ. ხოდაშნიდან დოლიაურის ხევთან ცენტრალური საავტომობილო გზის ჩრდილოეთით	X 548101.49 4635222.13	6,0 X 3,0 X 2	5400	540	540	20
ლოტი №5	სოფ. იყალთოს შესასვლელთან თელავის მხარეს ცენტრალური საავტომობილო გზის ჩრდილოეთით	X 533479.411 4643931.146	6,0 X 3,0 X 2	5400	540	540	20
ლოტი №6	სოფ. ვარდისუბნის წრესთან ჩრდილო აღმოსავლეთით თელავში შემოსასვლელთან	X 537694.00 4641671.346	6,0 X 3,0	2700	270	270	20
ლოტი №7	სოფ. ვარდისუბნის წრესთან ჩრდილო აღმოსავლეთით თელავში შემოსასვლელთან	X 537794.00 4641771.346	6,0 X 3,0 X2	5400	540	540	20
ლოტი №8	თელავი-გომბორი-ვაზიანის გზაზე რესტორანი „თელავურის“ აღმოსავლეთით 30 მეტრში	X 534873.346 4641872.000	5,4 X 3,0 X2	4860	486	486	20
ლოტი №9	სოფ. წინანდალში №9-ე ქუჩის დასაწყისში ავტობუსების გაჩერების აღმოსავლეთით	X 547786.605 4638171.917	1,5 X 1,5	337,5	33,75	33,75	20
ლოტი №10	სოფ. ვარდისუბნის წრის სამხრეთით	X 537652.652 4641662.082	6,0 X 3,0 X2	5400	540	540	20

2. ნებართვის გაცემის ვადაა 3 (სამი) წელი.
3. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა. შევსებული განაცხადი;
   ბ. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბ.კ. LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;
   გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ.კ. TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;
   დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
   ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
5. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ნებართვის სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.
6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ნებართვის შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.
7. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 9 ივნისიდან 2015 წლის 8 ივლისამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 8 ივლისს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).
8. დამატებითი ინფორმაცია ობიექტებისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი **ალექსანდრე შათირიშვილი**

როგორ ხვდება საზღვაო კურორტი დამსვენებლებს?

საქართველოს ზღვისპირეთში საკურორტო სეზონი დაიწყო. მართალია, ჯერ-ჯერობით ამინდი დამსვენებლებს არ ანებივრებს, თუმცა, მათი რაოდენობა ყოველ-დღე მატულობს. როგორ ხვდება საზღვაო სეზონს ქვეყნის ერთ-ერთი უნიკალური კურორტი, ამის თაობაზე „საქართველოს რესპუბლიკის“ შეკითხვებს უპასუხებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია. გთავაზობთ მათ გაერთიანებულ პასუხებს ჩვენს შეკითხვებზე.

— ურეკში შარშან დასრულდა წყალსადენის შიდა ქსელის მონტაჟი, მაგრამ ცენტრალური წყალმომარაგების მაგისტრალი გასაყვანია. როდის მიიღებს წყალს ურეკის საკურორტო ნაწილი და რა კეთდება ამისათვის დღეს?

ურეკის საკურორტო ზონას არ გააჩნია კანალიზაცია. სასტუმროებსა თუ კერძო სახლებში არსებული ფეკალური მასის მიმღები ორმოები პრიმიტიულადაა მოწყობილი, რაც დიდ პრობლემებს ქმნის: განსაკუთრებით საშიშროების შემცველია ის სიტუაცია, რომ ურეკი სასმელ წყალს იღებს არტერიული ჭებიდან, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება აღმოჩნდეს დაბინძურებული და გამოიწვიოს ეპიდემია. **როდისთვის იგეგმება კანალიზაციის გაყვანა და რა კეთდება საამისოდ დღეს?**

— გაცნობებთ, რომ ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზოლში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს სახელმწიფოს დაკვეთით, რომლის მშენებლობა დაიწყო 2014 წელს და სავარაუდო დასრულების ვადაა 2018 წელი. პირველ ეტაპზე განხორციელდა მაგნეტიტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები დაახლოებით 1 000 000 ლარის. ასევე 2013-2014 წლებში მოეწყო მერიის თემის ტერიტორიაზე ნაწილი საჭირო ჭაბურღილებისა, მეორე ნაწილის მოსაწყობად მიმდინარეობს სამუშაოები, საიდანაც უნდა განხორციელდეს ურეკი-შეკვეთილის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს წვერმაღალას ტერიტორიაზე სატუმბი სადგურის მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. ასევე, შესყიდული, შემოტანილი და დასაწყობებულია 5 000 000-მდე ლარის ღირებულების საჭირო მილები და სამშენებლო მასალები. წყალარინებს რაც შეეხება, ტურისტებისა და გარემოს უსაფრთხოებისათვის დაგეგმილია ევროსტანდარტების შესაბამისი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

კურორტის პოპულარიზაციის მიზნით, ტურიზმის დეპარტამენტის მხარდაჭერით, მიმდინარეობს შეკვეთილი- ურეკი- მაგნეტიტის განაშენიანების გენერალურ გეგმაზე მუშაობა. ბიუჯეტიდან გამოიყო 420 ათასი ლარი დასუფთავების ახალი მანქანებისა და პლაჟის ტექნიკის შესაძენად.

— ურეკში არ არის ბუნებრივი აირი, რაც აფერხებს კურორტის განვითარებას. იგეგმება თუ არა გაზის მაგისტრალის გაყვანა და როდის?

— როგორც იცით, გაზიფიცირება არ შედის ადგილობრივი ხელისუფლების უფლება-მოვალეობაში, თუმცა, ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაციით — ურეკი-შეკვეთილის გაზიფიცირება დასრულდება 2016 წლის ბოლომდე. სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზი.“ ინფორმაციისათვის გაცნობებთ, რომ ამ ეტაპისთვის განხორციელებულია სუჯუნა — ქობულეთის მაგისტრალიდან დაბა ურეკამდე 50 კმ სიგრძის საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენი მაგისტრალის მშენებლობა, ხოლო შიდა ქსელის მოწყობა განხორციელდება მომდევნო ეტაპზე.

— ურეკის საკურორტო ზონაში არსებული გზები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ერთადერთი ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაა, რომელზეც ასფალტის საფარი არის, მაგრამ იმდენად უვარგისია, რომ ყოველ წელიწადს შეკეთებას საჭიროებს. შეკეთება იმდენად უხარისხოდ ხდება, რომ ორ-სამ თვეში ისევ სარემონტოა. ამ გზის გასწვრივ ზღვისპირა ზოლში არ არსებობს ტროტუარი, არადა, საკურორტო სეზონის დროს გზა ისეა გადატვირთული ავტომობილებით, რომ დამსვენებლებს გავლა უჭირთ. მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ექმნება საფრთხე.

— გეგმავთ თუ არა ურეკში გზების რეაბილიტაცია-მშენებლობას. კერძოდ, გათვალისწინებულია თუ არა თაყაიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია და ტროტუარების მოწყობა? გთხოვთ, მიუთითოთ სავარაუდო ვადები.

— ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოაცხადა ტენდერი დაბა ურეკში არსებული ასფალტობეტონის გზების შეკეთებაზე. უახლოეს დღეებში სამუშაოთა შეასრულებას დაიწყებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა. ხოლო 2016 წლის ინფრასტრუქტურულულ გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება დაბა ურეკის შემოვლითი გზის რეაბილიტაცია, ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ურეკში წრიული მოძრაობა.

— ბოლო წლებში ურეკის საკურორტო ზონა ზაფხულობით ისეა გადატვირთული ავტომობილებით, რომ დამსვენებლები კურორტიდან გარბიან, რადგან შეუძლებელია ნორმალური დასვენება. იმის გამო, რომ აქაურობა არაა აღჭურვილი საგზაო ნიშნებით, საგზაო პოლიციის მცდელობა დაამყარონ წესრიგი, უშედეგოა. რას გეგმავთ ამ პრობლემის გადასაჭრელად წლევანდელ სეზონზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ დროა საკურორტო ზონაში დაწესდეს ცალმხრივი მოძრაობა?

— დაბა ურეკის განაშენიანების გენერალური გეგმის დამტკიცების შემდეგ, რომელზეც მთავრობა უკვე მუშაობს, დარეგულირდება მოძრაობის წესები, გამოიყოფა პარკირებისთვის საჭირო ადგილი, რაც შესაბამისად მოგვცემს შედეგს: ცენტრალური გზების განტვირთვას. თუმცა, ვერ დაგეთანხმებით შეფასებაში, რომ დაბა ურეკიდან დამსვენებლები გარბიან, საპირისპიროს მეტყველებს ფაქტები. მაგალითად, გასულ წელს კურორტი გამოირჩეოდა დამსვენებლების სიმრავლით.

— ურეკის საკურორტო ზონისთვის უბედურებად იქცა ეგრეთ წოდებული ტაქსისტები და მაკლერები. ზაფხულობით დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან ჩამოდიან „ტაქსისტები“. ამდენი მანქანის თავმოყრა მცირე ტერიტორიაზე დამატებით პრობლემებს ქმნის. შესაბამისი სამსახურებისაგან უყურადღებობამ და ამ საკითხის უკონტროლოდ მიშვებამ კურიოზულ შემთხვევებამდე მოგვიყვანა. შარშან პირადად მე ვიყავი მოწმე, სომხეთიდან დასასვენებლად ჩამოსული მოქალაქე როგორ ტაქსაობდა ურეკში და ამბობდა ფულს ვაკეთებო.

ეგრეთ წოდებული მაკლერები კი ის ხალხია, რომლებმაც საქმე მიატოვეს და ურეკს ფულის საშოვნელად მიაშურეს. მათი მოქმედება არა მარტო საკურორტო ზონას, არამედ მთელ ქვეყანას ულახავს სახელს. ხელს უშლის სასტუმროებისა და კერძო ბინების გამქირავებლების საქმიანობას. აპირებთ, თუ არა ამ პრობლემების მოგვარებას და როგორ?

— როგორც ზემოთ მოგახსენეთ, განაშენიანების გეგმის დამტკიცება ბევრ პრობლემას მოუხსნის კურორტს, მათ შორის, ტაქსისტებისაც გამოიყოფა შესაბამისი ადგილები.

— ურეკში მნიშვნელოვან ხარვეზად რჩება ხმაური. ღია რესტორნები და კაფეები თითქმის მთელ ღამეს მუშაობენ. ღამის თორმეტ საათამდე კი იქიდან ისეთი გამაყრუებელი მუსიკის ხმა გამოდის, რომ მათ ახლომახლო განლაგებული სასტუმროების თუ კერძო სახლების მცხოვრებლებსა და დამსვენებლებს ძილი და მოსვენება დაკარგული აქვთ. დამსვენებლები ხშირად ამის გამო ტოვებენ ურეკს და სხვაგან მიდიან. ჩვენ ოზურგეთის გამგეობასა და საკრებულოს წინა წლებში მივმართეთ თხოვნით, მოეწესრიგებინათ ეს საკითხი, მაგრამ არაფერი არ გააკეთეს. როგორც ამბობენ, ადგილობრივი ხელისუფლება ზოგ რესტორანსა და კაფეს, სათამაშო ობიექტებს ლობირებს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ხმაურის ზღვრული ნორმები დღე-ღამის სხვადასხვა დროს, რასაც, ურეკში არ იცავენ და არც არავინ აკონტროლებს ამ მდგომარეობას. აპირებთ თუ არა, წელს მიიღოთ გადაწყვეტილება ხმაურის შეზღუდვის თაობაზე, იმის მსგავსად, როგორც ეს არსებობს ბათუმში, თბილისში და სხვაგან?

— აღნიშნულს უკვე აგვარებს შესაბამისი კანონი. კერძოდ: გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ხმაურისა და გარემოს ხარისხობრივი ნორმების განსაზღვრა („საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №27 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამეტება, ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების (მათ შორის, ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველების) დადგენილი ნორმების გადამეტება — გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე“ („საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 77-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სამართალდარღვევის ფაქტზე ოქმის შედგენა-დაჯარიმების უფლებამოსილება კი აქვს (ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 ნაწილი) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებს.

— დღემდე არსებული ადგილობრივი, რაიონულ-მუნიციპალური ხელისუფლების უუნარობისა და არაკომპეტენტურობის მაგალითია ის, რომ ურეკის საკურორტო ზონაში დღემდე არ აიკრძალა მსხვილფეხა პირუტყვის თარეში. ძროხები და ცხენები ანადგურებენ ყველაფერს, რისი განადგურებაც შეიძლება. ამიტომაც ქუჩებში ვერსად ნახავთ ყვავილსა თუ დეკორატიულ მცენარეს. ურეკისთვის იშვიათობას წარმოადგენს პალმაც კი. მშიერი და უპატრონო საქონელი ამ მცენარესაც ჭამს. ორიოდე სასტუმროს მეპატრონე ცდილობს, მოაწყოს გაზონები, მაგრამ პირუტყვი ანადგურებს მწვანე ნარგავს. ძროხებს ხშირად ნახავთ ზედ პლაჟზე დამსვენებლებს შორის. საქონელი აბინძურებს ზღვისპირს და ნაძვნარს, ქუჩებს. საფრთხეს უქმნის დამსვენებელთა ჯანმრთელობას. იბადება შეკითხვა, ნუთუ ასე ძნელია საკრებულომ მიიღოს შესაბამისი აქტი, რომლითაც აიკრძალება საკურორტო ზონაში საქონლის უპატრონოდ გაშვება?

ნაცვლად იმისა, რომ ბიუჯეტის თანხები ყაირათიანად იხარჯებოდეს, ყოველწლიურად ურეკში დაქირავებულია რამდენიმე მეველე, რომელთა მოვალეობა ძროხების გადენაა. ბუნებრივია, მათ დანიშნული აქვს ხელფასი. თუმცა, მათი მოქმედება ნაკლებ ეფექტურია. ისმის კითხვა: რატომ უნდა იხარჯებოდეს ასეთი დანიშნულებით ბიუჯეტის თანხები მაშინ, როცა საქონლის ურჩი მეპატრონეები უნდა ჯარიმდებოდნენ და ბიუჯეტი პირიქით ამ გზით ივსებოდეს?

გთხოვთ გვიპასუხოთ, აპირებთ თუ არა ურეკის საკურორტო ზონაში აკრძალოთ პირუტყვის უპატრონოდ გაშვება?

— ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უკვე აქვს მიღებული ნორმატიული აქტი, 2013 წლის 26 აპრილს, დადგენილება №11 — ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, არსებულ ბულვარში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის წესი, რომლითაც მუნიციპალიტეტი დღემდე ხელმძღვანელობს, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური, ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრთან“ ერთად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ახორციელებს რეაგირებას.

ამირან კილურაძე,
გაზეთ „სრ“ აჭარა-გურიის
საკორესპონდენტო
ბიუროს ხელმძღვანელი.

P. S. ბევრი ჩინოვნიკისაგან განსხვავებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ჩვენს შეკითხვებს ოპერატიულად უპასუხეს. ახლა საქმე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებზეა.

რაც შეეხება მნიშვნელოვან კაპდაბანდებებს, გასაგებია, ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველაფრის ერთბაშად მოგვარება ვერ მოხერხდება, მაგრამ ხმაურის აკრძალვას, ანდა ეგრეთ წოდებული „ხიშნიკი“ ტაქსისტების და „მაკლერების“, საქონლის ხეტიალის აკრძალვას წინ რა უდგას, ეს ძნელი გასაგებია.

იმედია, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გამოგვეხმაურება და იმასაც გვაცნობებს, ურეკიდან წინა წლებში მიღებულ სიგნალებზე რატომ არ იყო შესაბამისი რეაგირება?

ა. ჯ.

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველო კორუფციისგან თავისუფალია

საქართველო თავისუფალია კორუფციისგან, რაც უნიკალური შემთხვევაა რეგიონში, — ამის შესახებ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, მოლდავეთსა და ბელარუსიაში ბრუნო ბალვანერამ განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოში არ გდევნით პოლიცია ან რომელიმე სხვა სტრუქტურა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

„თუ საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგებსაც გადავავლებთ თვალს, საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის, კონკურენტუნარიანობისა და კორუფციის რეიტინგებში რეგიონში მოწინავეა. აღსანიშნავია, სანდო სასამართლო სისტემაც, გამართული საბანკო სისტემა და ფინანსური ინსტიტუციები, რომლებიც ადგილობრივი მენეჯერების ძალისხმევით შეიქმნა. არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ საქართველოს ორი უმსხვილესი ბანკი ლონდონის საფონდო ბირჟაზეა. ეს აღფრთოვანებას იწვევს და იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს შესწევს უნარი, დააკმაყოფილოს ყველაზე მომთხოვნი ინვესტორების ინტერესებიც კი. ყოველივე ამის უკან გამართული საკანონმდებლო სისტემა, მყარი საბანკო სისტემა და კორპორაციული მმართველობა დგას. ეს ყოველივე მაგალითია იმისა, რომ საქართველო ძალიან კარგ პოზიციაშია. თუმცა, ეს არ ასახულა ხალხის კეთილდღეობაზე, რაც დროის საკითხია“, — განაცხადა ბალვანერამ.

მისივე თქმით, საქართველომ უნდა განაგრძოს რეფორმები, განსაკუთრებით, ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიც, მაგალითად, კაპიტალის ბაზარია.

ინტერპრესი

◎ წყალბურთი

„თბილისმა“ „ლოკომოტივი“ ვერ შეაჩერა

დამთავრდა საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა 2015 წლის ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ორწრიანი ჯგუფური ორთაბრძოლების შემდეგ ნაკრების წევრებით დაკომპლექტებულმა „ლოკომოტივმა“ და „თბილისმა“ პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს. ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის დაინიშნა დამატებითი მატჩები ორ მოგებამდე. „ოლიმპიკის“ აუზში პირველი ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ - 10:10. საჭირო გახდა პენალტების სერია. 15-15 ხუთმეტრიანიდან „ლოკომოტივმა“ 12 გამოიყენა, „თბილისმა“ — 11 და, შესაბამისად, მატჩი რკინიგზელებმა მოიგეს 22:21. ამ გუნდების მეორე შეხვედრაც დაძაბული გამოდგა.

„ლოკომოტივი“ — „თბილისი“ 14:10 (3:2, 2:1, 5:3, 4:4)

„ლოკომოტივი“: ჭუმბურიძე, ქავთარაძე (1), ჩიკვაიძე, გაბადაძე, რუსიშვილი (2), ურუშაძე, ჯახაია (3), მაგრაქველიძე, რურუა (3), გეგელაშვილი (1), ყაზახიშვილი (3), ფურცელაძე (1), **მწვრთნელი** — დავით დავითიანი.

„თბილისი“: კაპანაძე, ქენქაძე (4), კოტარია (1), ბუღაძე, ცანკაშვილი, გელაშვილი, ხვედელიანი (4), ბაღათურია (1), ქარჩილაძე, სულაძე, გიორგაძე, ჩოდრიშვილი, კოტია, ქურციშვილი, ჭელიძე, **მწვრთნელი** — გალაქტიონ ლაითაძე.

პირველი ორი რაუნდი „ლოკომოტივმა“ თითო ბურთის სხვაობით მოიგო, მესამე რვაწუთიან მონაკვეთში ხუთი გოლი გაიტანა სამის წილ, საბოლოოდ კი 14:10 გაიმარჯვა და ჩემპიონობაც მოიპოვა. მე-3 ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა 1998-1999 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს ნაკრებმა (**მწვრთნელი** — ოთარ ქოიავა), ხოლო მე-4 ადგილი „ქუთაისს“ (**მწვრთნელი** — გია მამისეიშვილი) ერგო.

ჩემპიონატის დამთავრებისთანავე საქართველოს ნაკრები რუსეთში გაემგზავრა, სადაც მასპინძელთა და ესპანეთის გუნდებთან ერთად 11 ივნისამდე გაივლის საწვრთნელ შეკრებას, შემდეგ 12-14 ივნისს ყაზანის საერთაშორისო ტურნირში რუსეთს, ჩინეთსა და ესპანეთს დაუპირისპირდება, 15-21 ივნისს კი სლოვაკეთშია დაგეგმილი საწვრთნელი შეკრება. ყველაფერი ეს 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდისთვის მზადებას ემსახურება, რომელიც 25-27 სექტემბერს გაიმართება. საქართველო ფინალური ეტაპის 2 საგზურისთვის ისრაელში მასპინძლებთან ერთად ჰოლანდიასა და ლიტვას შეხვდება.

გივი გაგუა

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი „ლოკომოტივი“.

◎ ჩოგბურთი

მეტრეველმა 10.000-იანი ტურნირი მოიგო



პანტიანი ჩოგბურთელ ვაჟთა ზედიზედ მეხუთე საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მასპინძლობს. წინა ოთხი ასპარეზობიდან სამში პოლონელმა ჩოგბურთელმა პაველ პანფილმა გაიმარჯვა, გასულ უქმეებზე კი მთავარი პრიზი ალექსანდრე მეტრეველმა დაიმსახურა. მე-4 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ზედიზედ ხუთი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან: სტარტზე ვლადისლავ ჩუმაკს (უკრაინა) აჯობა — 6:3, 7:5, შემდეგ კეინ კილარსა (კანადა, 6:4, 6:1) და კაროლ უევიეცკის (პოლონეთი, 6:0, 6:0) მოუგო, ნახევარფინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტი ვიქტორ ბალუდა (რუსეთი) დაამარცხა — 6:2, 2:6, 6:0, ფინალში კი მესამე ნომერ მარკო ბორტოლოტის (იტალია) დააყრევინა ფარხმალი — 6:3, 6:2. წყვილებში მეტრეველი გიორგი ჯავახიშვილთან ერთად გამოდიოდა. სტარტზე მიქაელ ავეტისიანი (სომხეთი) და სერგეი ბარიშევი (რუსეთი) დაამარცხა — 7:6, 7:5, შემდეგ გიორგი ცივაძისა და ვიქტორ გურევიჩის (აშშ) დუეტს მოუგო — 6:4, 6:3, ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილი მარკო ბორტოლოტი და ფრანჩესკო მონკაგატო (ორივე — იტალია) დაჯაბნა — 7:5, 6:4, გადამწყვეტი პაექრობა კი ვიქტორ ბალუდასა და ივან კალინინთან (ორივე — რუსეთი) დათმო - 5:7, 1:6.

პანტიანის მე-5 ტურნირის ძირითად ბადეში ექვსი ჩვენებური ჩაებმება. ისინი ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: **გიორგი ცივაძე** — დანიელ კუზნეცოვი (ავსტრალია), **გიორგი ჯავახიშვილი — ალექსანდრე მეტრეველი, შოთა მეფარიძე** — მარეკ სენაჩეკი (ჩეხეთი), **ალექსანდრე ბაკში** — რომან ხასანოვი (ყაზახეთი), **ირაკლი მეტრეველი** — ივან კალინინი (რუსეთი).

ლაშა დიდია

სურათზე: ალექსანდრე მეტრეველი.

◎ ფეხბურთი

მეფე ცოცხალია! გაუმარჯოს მეფეს!

ერთი თვის წინათ პომპეზურად აღინიშნა დიდ სამამულო ომში (ზოგიერთისთვის მეორე მსოფლიო ომში) გამარჯვების 70-ე წლისთავი. და აი, გასულ შაბათს ბერლინი კიდევ ერთხელ დაეცა — ამჯერად ერთმანეთს დედაქალაქი კატალონიის უძლეველმა არმადამ აიღო. დიახ, „ბარსელონა“ მეხუთედ ავიდა ოლიმპზე!

„ბარსელონა“ — „იუვენტუსი“ 3:1

გოლები: რაკიტიჩი, სუარესი, ნეიმარი; მორატა.

რამდენიმე წლის წინათ ძნელი სავარაუდო იყო, რომ ხოსეპ გვარდიოლას გაკვალულ ბილიკს ასე ოპერატიულად შეუყვებოდა ვინმე. ასეთიც მოიძებნა ლუის ენრიკეს სახით, რომელიც, წინამორბედის მსგავსად, სწორედ „კამპ ნოუზე“ დაფრთიანდა.

თუ ეს მისთვის ახალ ამპლუაში პირველი წარმატებული სეზონია, გუნდის კაპიტანმა ჩავი ერნანდესმა, პირიქით, 25-ე ტიტულის მოპოვებით დაასრულა თავისი შთამბეჭდავი კარიერა. სიმბოლურ ტრიუმფთან ახლოს იყო „ბებერი ქალბატონის“ ლეგენდარული მეკარე ჯანლუიჯი ბუფონიც, თუმცა, მისი უმდიდრესი კოლექცია კვლავაც ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ევროტურნირის მთავარი ჯილდოს გარეშე დარჩა.

თუ გავითვალისწინებთ ფინალურ შეხვედრაში განვითარებული მოვლენების პერიპეტიებს, ლოგიკურადაც — პრიმერადივიზიონის ჩემპიონი და „კოპა დელ რეის“ მფლობელი დღესდღეობით არათუ სერია — ა-ს, თუნდაც, უდავოდ საუკეთესო წარმომადგენელს, არამედ მრავალი წამყვანი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს აღემატება პოტენციალითა და ცალკეულ სოლისტთა ინდივიდუალური საშემსრულებლო ოსტატობით. უამრავ სხვა ეპიზოდზე რომ არაფერი ვთქვათ, საილუსტრაციოდ მხოლოდ იმ კომბინაციების დასახელებაც კმარა, იტალიელთა კარში გატანილ გოლებს რომ უძღოდა წინ.

დაგვეთანხმებით, არანაკლებ ქებას იმსახურებენ დაცვის ტრავმირებული ბურჯის ჯორჯო კიელინის გარეშე მოთამაშე „ზებრებიც“, რომლებიც ღირსეულად გაუმკლავდნენ გამოკვეთილ ფავორიტს და დაუვიწყარი სპექტაკლის დადგმაში სოლიდური წვლილი შეიტანეს.

გაისად ჩემპიონთა ლიგის ფინალს მილანი უმასპინძლებს, წლევანდელი სეზონის დასკვნითი აკორდი კი, მოგეხსენებათ, 11 აგვისტოს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზეა“ დანიშნული, რომლის აფიშასაც ნებისმიერი გულშემატკივარი ინატრებდა: აქეთ გენიალური მესი და კომპანია, იქით — ევროპის ლიგის ოთხგზის გვირგვინოსანი „სევილია“. მოკლედ, ორიოდე თვეც და მტკვრისპირეთში ჯერაც ზოგადესპანურ, უფრო კონკრეტულად კი კატალონიურ-ანდალუზიური კორიდათი დავტკბებით.

გიორგი შოთაძე

◎ ტენისი

ვისთვის პირველი, ვისთვის მესამე



მსოფლიოს პირველ ჩოგან ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის კვლავაც აუხდენელ ოცნებად რჩება დიდი სლემის მეოთხე ტურნირის — როლან გაროსის მოგება. არადა, გრუნტის მეფის რაფა ნადალის დამარცხების შემდეგ მას თითქოს მწვანე შუქი აენთო თიხნარზე ტრიუმფისკენაც.

სერბისათვის დაუძლეველ წინაღობად იქცა შვეიცარიელი სტენ ვავრინკა, რომელმაც, თავის მხრივ, წინა ეტაპებზე თვით ლეგენდარული თანამემამულე როჯერ ფედერერი და მასპინძელთა უკანასკნელი იმედი ჯო-ვილფრედ ცონგა ჩამოიცილა გზიდან.

ვავრინკა — ჯოკოვიჩი 3:1 (4:6, 6:4, 6:3, 6:4).

ბალკანელი, ეტყობა, კარგა გვარიანად გამოფიტა ნახევარფინალში ენდი მარეისთან ხუთსეტიანმა ტრილერმა, რომელმაც შემოღამების გამო ორ დღეს გასტანა. სხვაგვარად ძნელია აიხსნას ის უპირატესობა, რომელსაც ბრძოლის მეორე ნახევარში ვავრინკამ მიაღწია.

სხვათა შორის, ეს სტენისთვის პირველი საგრუნტო ტიტულია. შეგახსენებთ, რომ მან შარშან ავსტრალიის ღია პირველობაც მოიგო.

რაც შეეხება ქალთა ტურნირს, პარიზის კორტებზე უკვე მესამედ გაიმარჯვა 33 წლის სერენა უილიამსმა, რომელმაც თითქმის ყველა შეხვედრა გაჭირვებით მოიგო, მათ შორის, ფინალში ჩეხ ლუსი საფაროვასთან — 2:1.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

რევანში

მართლაც რომ ამოუწურავია ადამიანის, მეტადრე თანამედროვე პროფესიული კალათბურთის მეფის ლებრონ ჯეიმსის შესაძლებლობანი.

უკვე გაუწყეთ, რომ მისი „კლივლენდი“ ნბა-ს წლევანდელი ფინალური სერიის პირველ შეხვედრაში სტუმრად რეგულარული სეზონის აღმოჩენა „გოლდენ სტეიტთან“ დამატებით დროში დამარცხდა, თანაც მძიმე ტრავმის გამო ისევ დაკარგა ახალგამოჯანმრთელებული ძირითადი გამთამაშებელი კაირი ირვინგი.

გუშინ გამართულ მეორე ბრძოლას ისევ ოკლენდმა უმასპინძლა და მისი ბედი კვლავ ოვერტაიმში გადაწყდა, ოღონდ ამჯერად „კავალიერზის“ სასარგებლოდ — 95:93 (ძირითადი დრო 87:87. ასე რომ, სერიაში ანგარიში გათანაბრდა — 1:1 და, რაც მთავარია, სტუმრებმა საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვეს.

რაც შეეხება ლებრონ ჯეიმსს, პირველი მატჩის ინდივიდუალური მონაგარი, მართალია, მცირედით გააუარესა (44+39 ქულა), მაგრამ თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პირადად აუღო რევანში მრისხანე მეტოქეს.

ზეგიდან გუნდები კლივლენდში გადაინაცვლებენ, სადაც მორიგი ორი თამაშია დანიშნული.

ვიტალი ჯაფარიძე



სანთელი

ავთანდილ გეორგელიძესთან გამოსათხოვარი



მიწიერი საქართველოდან ზეციურ სასუფეველში მივაცილებთ ჩვენს უძვირფასეს მეგობარს, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერს ბატონ **ავთანდილ გეორგელიძეს**.

მისი სიცოცხლე იყო უშურველი მაგალითი საქართველოსთვის სამსახურისა.

დღიდან აფხაზეთის ეპოპეისა, ვიდრე ომის დამთავრებამდე, იგი ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ ბატალიონ „ცხუმს“ და მაგალითის მიმცემი იყო თანამებრძოლთათვის.

როგორც ღირსეულ მოქალაქეს, არ ჰქონდა თვისება საკუთარი დამსახურების ხაზგასმისა და ყოველთვის სხვისი ღვაწლის წარმოჩინებისათვის იღვწოდა. ავთო ვალმოხდილი და განწმენდილი მიეახლება ზეციურ საქართველოში მის უსაყვარლეს შვილს, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერს, სამშობლოსთვის შეწირულ ვაჟკაცს ალეკოს.

ჩვენო დაღლილო, მაგრამ გაუტეხელო ძმაო ავთო, ჩვენთვის განკუთვნილი სიცოცხლის პერიოდში შენ ყოველთვის ჩვენთან იქნები, როგორც მაგალითის მიმცემი დიდი კაცობისა.

ფიზიკური განშორების ჟამს არ გეტყვით ტრადიციულ სიტყვას — მშვიდობით!..

ნახვამდის, ძმაო!

რეზო ღვინჯილია, გურამ მგელაძე, შალვა მგალობლიშვილი, დიმა ჯაიანი, იურა ჭოლოკავა, თენგიზ იაშვილი, ნური ხაბურზანია, დავით ცანავა, ვახტანგ ვეკუა, ზურაბ შარაბიძე, კოტე ყარამანიშვილი, სერგო ფიფია, ამირან დოჩია, იუზა ტაბიძე, ბესო გვასალია, ტარიელ ტარიელაშვილი, ლადო ცომაია, ნელი პაკელიანი, ლიანა მიქაშავიძე, ოთარ გადელია, ჯუმბერ დარცმელია, პავლე ძვაჩახია, ლორი გოლავა, ვაჟა მანია, ავთო პატარაია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, ომის ვეტერანი, ბატალიონ „ცხუმის“ მეთაური, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი, აფხაზეთის მეომართა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე, თადარიგის მაიორი

ავთანდილ გეორგელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სვეტა, შალვა მგალობლიშვილები იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ავთანდილ გეორგელიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.



ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ავთანდილ გეორგელიძის

გარდაცვალების გამო.

ვუსამძიმრებთ მის ოჯახსა და ახლობლებს.

გამოსვენება 9 ივნისს, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ბატალიონ „ცხუმის“ მეთაური, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი ავთანდილ გეორგელიძე გარდაიცვალა 2015 წლის 6 ივნისს.

ომის შემდგომ ის იყო აფხაზეთის მეომართა კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის მეთაურთა საბჭოს წევრი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვეტერანთა პრობლემების მოგვარების საკითხებში.

ავთანდილ გეორგელიძის ვაჟი ალექსანდრე (ალიკა) 5 იანვარს სოხუმზე შემოტევის დროს გმირულად დაიღუპა.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პიროვნების, სოფლის მეურნეობის დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლის, წლების მანძილზე აბაშის რაიონის ყოფილი თავკაცის, აბაშის ექსპერიმენტისა და გარდაქმნების ფუძემდებლის, აბაშასა და აბაშელებზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის

გურამ დავითის ძე მგელაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მამუკა კვიტაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

გურამ დავითის ძე მგელაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას ლალი მიქაიას შვილის

გიორგი ლეკიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.

◎ ინფორმაცია

გარდაიცვალა ჯუნა დავითაშვილი

მოსკოვში 66 წლის ასაკში ექსტრასენსი, ასტროლოგი ჯუნა დავითაშვილი გარდაიცვალა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

მსახიობ სტანისლავ სადალსკის ცნობით, ჯუნა დავითაშვილი ორი დღის განმავლობაში კომაში იმყოფებოდა.

„მაღაზიაში პროდუქტების საყიდლად ჩავიდა. მოულოდნელად ცუდად გახდა და უგონოდ დაეცა“, — აღნიშნა რუსმა მსახიობმა.

ჯუნა დავითაშვილი, იგივე ევგენია იუვაშევა, ყუბანელი კაზაკისა და ირანელი ემიგრანტის შვილი იყო. მისი მეუღლე — ვიქტორ დავითაშვილი თავის დროზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის რეფერანტი იყო. ჯუნა დავითაშვილმა თბილისში სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა. 2009 წელს ჯუნა დავითაშვილს რუსეთში ათასწლეულის ადამიანის წოდება მიანიჭეს.

◎ თუ ფული გაქვს...

თბილისის ყველაზე ძვირად ღირებული საბავშვო ბაღები

თუ ბავშვის კერძო ბაღში მიყვანას გადაწყვეტთ, ბევრი ნიუანსის გათვალისწინება მოგიწევთ.

ის, რომ პატარებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სიარული აუცილებელია, ამაზე ყველა თანხმდება. თუმცა, შვილისთვის ბაღის სწორად შერჩევა მნიშვნელოვანი და ყურადსაღები თემაა. საქართველოში საჯარო და კერძო ბაღების საკმაოდ ფართო არჩევანია. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს საჯარო ბაღში მიიყვანთ, საკმაოდ დიდ თანხას დაზოგავთ, თუმცა, გარანტირებული არ გაქვთ, რამდენად კარგ პედაგოგთან და კარგ ჯგუფში მოხვდება თქვენი შვილი.

თუმცა, თუ ბავშვის კერძო ბაღში მიყვანას გადაწყვეტთ, საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი არჩევანიდან ბევრი ნიუანსის გათვალისწინება მოგიწევთ, მათ შორის, ადგილმდებარეობის, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო პროგრამის. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი კერძო ბაღების შემთხვევაში სწავლის გადასახადია, რომელიც არცთუ ისე ცოტაა.

თბილისში დღესდღეობით ყველაზე ძვირად ღირებული ბაღი „რედიქსის“ ბაღია, სადაც სწავლის გადასახადი თვეში 350 დოლარია. ბაღი მუშაობს 09:00-დან 19:00 საათამდე. ბაღში სწავლის საფასურის დაფარვას განვადებითაც გთავაზობენ. იმ შემთხვევაში კი, თუ 10 თვის საფასურს წინასწარ გადაიხდით, წლიური 3 500 დოლარის ნაცვლად, 3000 დოლარის გადახდა მოგიწევთ.

რიგით მეორე ბაღი, სადაც სწავლის საფასური დოლარში უნდა გადაიხადოთ, ქართულ-ბრიტანულ აკადემიასთან არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა, სადაც 3-დან 5 წლამდე ბავშვებს შეუძლიათ სწავლა. სწავლის საფასური თვეში 320 დოლარს შეადგენს. ბაღში ბავშვების განვითარების რამდენიმე სფეროს გთავაზობენ — სოციალურ-ემოციური განვითარება: თვითიდენტურობა, თვითშეფასება, პასუხისმგებლობა, უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობა; ფიზიკური განვითარება: მსხვილი მოტორიკა, ნატიფი მოტორიკა და სენსორულ-მოტორული განვითარება; შემეცნებითი განვითარება: სწავლა და პრობლემების გადაჭრა, ლოგიკური აზროვნება, სიმბოლური აზროვნება და წარმოსახვის უნარი; მეტყველების განვითარება: წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირი მეტყველება და კომუნიკაცია.

სწავლის საფასურის სიძვირის მიხედვით, მესამე ადგილზე საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლასთან არსებული UG ბაღია. ყოველთვიური გადასახადი აქ 450 ლარია, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მშობელი პატარისთვის შუადღის ძილს არ ირჩევს, მაშინ თვეში 400 ლარის გადახდა მოუწევს. ჯგუფები 15 ბავშვისგან შედგება. სწავლების პროგრამა სიმღერის, ცეკვის, ქართული, ინგლისური და რუსული ენისგან შედგება.

450 ლარია ყოველთვიური გადასახადი საბავშვო ბაგა-ბაღში „ქინდერვილი“, სადაც ბავშვებს წლინახევრის ასაკიდან იღებენ. მთავარი მოთხოვნა აქ არის ის, რომ პატარამ სიარული იცოდეს.

ძვირიანი ბაღების რიცხვს მიეკუთვნება ნიუტონის სკოლასთან არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც 5-6 წლის ბავშვებს იღებენ. სწავლის საფასური კი თვეში 420 ლარია. 10-თვიანი სწავლების პერიოდში მშობელს, შესაბამისად, წელიწადში 4200 ლარის გადახდა უწევს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ყოველთვიური საფასური 350 ლარი საკმაოდ ბევრ ბაღშია. მაგალითად, ქართულ-ბრიტანულ საბავშვო ბაღში „დამბო“ (Dumbo), სადაც პატარებს ბრიტანული პროგრამით ასწავლიან. ამ პროგრამის გათვალისწინებით საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს კოორდინირებას უწევს ავსტრალიიდან მოწვეული პედაგოგი.

ყოველთვიურად 350 ლარის გადახდა მოგიწევთ, თუ თქვენი შვილისთვის არჩევანს საბავშვო ბაღ NEVERLAND-ზე შეაჩერებთ, სადაც პატარების მუსიკალურ აღზრდაზე ნუცა ჯანელიძე, თანამედროვე ცეკვების შესწავლაზე კი ჯულიანა ბარგნარი იზრუნებენ.

იგივე თანხა ღირს სწავლა სკოლამდელი განათლების აკადემია „წიგნიერში“, სადაც ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი და სტანდარტზედა პროგრამების მრავალფეროვნებაა.

„თბილისის მწვანე სკოლა“ წინასასკოლო მოსამზადებელი ცენტრია, სადაც სწავლის საფასური 350 ლარია. ცენტრში 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებს იღებენ. „თბილისის მწვანე სკოლის“ წინასასკოლო მოსამზადებელ ცენტრში დანერგილია უახლესი, მსოფლიოში ცნობილი და აპრობირებული კომპიუტერული სასწავლო პროგრამა — EDUPLAY“.

შედარებით იაფფასიან კერძო ბაღებში სწავლის გადასახადი 300 ლარია. მაგალითად, ბრიტანულ-ქართული საბავშვო ბაღების ქსელი ABC, რომელსაც ოთხი ფილიალი აქვს, სწავლის პროცესში ყველაზე დიდ დროს ინგლისურის შესწავლას უთმობს. ბაღში ასევე ფუნქციონირებს მუსიკალური სტუდია. 300 ლარია გადასახდელი ბაღ „ბიზი ბიიზში“ , რომელშიც 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების სწავლის პროგრამა სკოლამდელი აღზრდის ახალ ბრიტანულ სახელმწიფო პროგრამაზე Every Child Matters არის დაფუძნებული.

იგივე თანხის გადახდა მოგიწევთ, თუ ბავშვს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ორენოვანი აღზრდის ცენტრ „პატარა ერუდიტებში“ მიიყვანთ. ბაღში ადრეული განვითარების ჯგუფი სკოლამდელი მომზადების (PRE-SCHOOL) ჯგუფი ფუნქციონირებს.

ასევე ბევრი საბავშვო ბაღია, სადაც თქვენ შვილების აღზრდა 250 ლარი დაგიჯდებათ. მართლმადიდებლურ ბაგა-ბაღ „იავნანაში“ სტანდარტული სწავლების გარდა, პატარებს საღმრთო რჯულს და ლოცვებს ასწავლიან. ასევე ბაღში იკითხება პარაკლისი ზეთის ცხებით და კვირაში ორჯერ პატარებს აზიარებენ.

ყოველთვიურად 250 ლარი ღირს სწავლა ბაგა-ბაღში „ბაობაბი“, სადაც ფუნქციონირებს მუსიკისა და აერობიკის, არტ-თერაპიის წრეები, ასევე სისტემატურად ეწყობა თოჯინების თეატრი და ტარდება შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები.

თეა ბითაძე

◎ გამოფენა

ბატონ ღვინოს გაუმარჯოს!

ღვინისა და მეღვინეობის სამშობლოში ამ ჭეშმარიტად ღვთიურ სასმელთან დაკავშირებული რაიმე საზოგადოებრივი ღონისძიებით ხალხს ძნელად თუ გააკვირვებ, მაგრამ საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში 5-7 ივნისს ჩატარებულმა ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მე-8 საერთაშორისო გამოფენა „inExpo Georgia 2015“-მა, რომლის გახსნის თაობაზე ჩვენი გაზეთი თავის წინა ნომერში იუწყებოდა, მნახველები მაინც ერთიანად გააოცა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიასა“ და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ ამ საერთაშორისო ფორუმში, ქართული კომპანიების გარდა ასევე მონაწილეობდნენ გერმანიის, იტალიის, პორტუგალიის, უკრაინის და მოლდოვის ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების, აგრეთვე შესაფუთი მასალების, მანქანა-დანადგარების, გადამმუშავებელი ხაზების, მინის ტარისა და საცობების მწარმოებლები და დისტრიბუტორები.

5 ივნისს გამოფენის გახსნის ცერემონიას თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, სხვა ოფიციალური პირნი ესწრებოდნენ.

ბატონმა გიორგი ალიბეგაშვილმა, რომელმაც ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მე-8 საერთაშორისო გამოფენის მნიშვნელობაზე ილაპარაკა, კერძოდ, აღნიშნა, რომ გამართვის წესით ეს ღონისძიება იმითაა გამორჩეული, რომ დამთვალიერებლებს ღვინისა თუ ყველის ჭაშნიკის შესაძლებლობა ადგილზევე ექნებოდათ. და მართლაც, სამი დღის განმავლობაში გამოფენის, რომლის სტუმრობა, სხვათა შორის, საკმაოდ ძვირი ღირდა – 10 ლარი, დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ, ადგილზე დაეგემოვნებინათ ასზე მეტი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია – ქვევრის ღვინო, ქართული ტრადიციებით დამზადებული უგემრიელესი ყველი. საგულისხმოა, რომ წლეულს ღვინის ცნობილ მწარმოებლებთან ერთად, გამოფენაში ასევე მონაწილეობდნენ მცირე და ოჯახური მარნები. კორპორაცია „ქართული ღვინოს“, ღვინის კომპანიების „შუმის“, „ქიმერიონის“, „მეღვინეობა ხარებას“, „ასკანელი ძმების“, „ბატონოს“, „არტ-მტევნის“, „გიუაანის“, „წინანდლის ძველი მარნის“, „კახური ტრადიციული მეღვინეობის“, „თელედას“, „ჯეო სოლუშენისა“ და სხვათა პროდუქციას გამოფენის მნახველთა და ექსპერტთა დიდი მოწონება ხვდა. მის ფარგლებში მოეწყო ქვევრის ღვინის კუთხე და „საფერავის“ პრეზენტაცია. 5 და 6 ივნისს, ღვინისა და ვაზის საერთაშორისო ორგანიზაციის OIV-ის ოფიციალური პატრონაჟით, ღვინის მე-7 საერთაშორისო კონკურსი „International Wine Competition“ ჩატარდა. კონკურსის ჟიურიში მიწვეულნი იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები, ენოლოგები, ასევე ცნობილი ღვინის ჟურნალისტები ჟან მარი ორანი, ტიმ ეტკინი, ჯონ სალვი, ფელისიტი კარტერი, ჯოელ ბრაიან ჰეინი და ლესლი ჯოან გევირტცი. ერთმანეთს დაახლოებით 80 კომპანიისა და მცირე მარნის ღვინო შეეჯიბრა, გამარჯვებულები კი 7 ივნისს დააჯილდოვეს.

დალი ხუნდაძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. 1 კვ.მ. – 120$, ორ ნაწილად გაყოფისას – ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

იყიდება

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.
ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **ალო**, ეს პოლიციაა? – რეკავს ტიპი.
– დიახ, რა მოხდა?
– ორი გოგო ჩემ გამო ერთმანეთს ლამის ხოცავს.
– და პრობლემა რა არის?
– შეუხედავი იმარჯვებს!

* * *

ცოლ-ქმარი სტუმრად წასასვლელად ემზადება.
– რატომ არა ხარ გაპარსული? კაცს ეგონება, მთელი კვირა არ გაუპარსავს პირიო, – საყვედურობს ცოლი ქმარს ბოლო მომენტში.
– ძვირფასო, შენ რომ მაკიაჟის კეთება დაიწყე, მაშინ იდეალურად მქონდა პირი გაპარსული!

სამართალი მაინც არსებობს ამქვეყნად. მეზობელს, რომელიც თავის ბინაში რემონტს აკეთებდა და ხმაურით ხელში შემიკლა, რემონტის დამთავრებისთანავე სიდედრი ჩამოუვიდა. თურმე სამუდამოდ!

* * *

– **ძვირფასო**, რა გვაქვს დღეს ვახშმად გემრიელი? – ეკითხება სამსახურიდან დაბრუნებული ქმარი ცოლს.
– მე.
– მაგრამ ჩემთვის ქონიანი საჭმელი არ შეიძლება.

* * *

– **სარა** დეიდა, სარა დეიდა! თქვენი ელა ბილიარდის ბურთულებს ყლაპავს.
– ელოჩკა, შვილო, არ შეიძლება! მთელ უნიტაზს დაამსხვრევ!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24